დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:
თამარ ამზაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
წევრები:
1. ნინო ფაილოძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. მაია ქევხიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სანობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**202055587**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა N58
ფაქტობრივი მისამართი	ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა N58
საფოსტო ინდექსი	0154
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi100@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 577 428

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება: 2023 წლის 21 აგვისტოს N 1015475 და მასში ცვლილებების შესახებ 2023 წლის 6 სექტემბრის ბრძანება N1087455
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 5 და 6 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	თბილისი ვახუშტი ბაგრატიონის ქN58

2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო -საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	თბილისი ვახუშტი ბაგრატიონის ქN58
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	თბილისი ვახუშტი ბაგრატიონის ქN58

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით, სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლაში (შემდგომში ყველგან - სკოლა) განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი.

ექსპერტების ჯგუფი წინასწარ გაეცნო სკოლის მიერ გადმოგზავნილ თვითშეფასებასა და შესამოწმებელ დოკუმენტთა ნუსხას, გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, შეიმუშავა დღის წესრიგი და გადაანაწილა შესასრულებელი საქმიანობა.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით .

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ექსპერტების მიერ, დაზუსტდა სასკოლო დოკუმენტაციაში ასახული ფაქტები, ჩატარდა გასაუბრება სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, შეფასდა სკოლის ინფრასტრუქტურა, დისტანციურ რეჟიმში შედგა ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებსა და საგნობრივ ექსპერტებს შორის (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტისა, რომელმაც ადგილზე შეაფასა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების შესაბამისობა). დისტანციურ შეხვედრას კოორდინაციას უწევდა ავტორიზაციის ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, რომელმაც საბოლოოდ გააერთიანა მეორე სტანდარტის საგნობრივი ექსპერტების შეფასება და შესაბამისობაში მოიყვანა დასკვნის ფორმასთან.

ვიზიტი წარიმართა კეთილგანწყობილ, თანამშრომლობით გარემოში. სკოლის ადმინისტრაციამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას. დამუშავებული დოკუმენტების ანალიზის, სკოლის ინფრასტრუქტურისა ნახვის და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა მიგნებები, რომელიც ვიზიტის დასრულების შემდეგ გაეცნოთ სკოლის წარმომადგენლებს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ახალ შენობაში და აღჭურვილია მოსწავლის საჭიროებისთვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსით. მისია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში. სკოლის გუნდი ღიაა თანამშრომლობისთვის, ცვლილებებისთვის, ჩართულები არიან განათლების სისტემის მიერ შეთავაზებულ ტრენინგებში და კარგად იცნობენ და ასრულებენ თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს. სკოლის დირექტორის მ/შ მოტივირებული პროფესიონალია, რომელსაც აქვს შესანიშნავი იდეები და სკოლის სამომავლო განვითარების ხედვა. სკოლას აქვს ყველანაირი რესურსი (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური), რომ წარმართოს ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი, რითაც დააკმაყოფილებს როგორც სახელმწიფო სტანდარტის, ასევე მისი ძირითადი მომხმარებლის - მოსწავლის მოთხოვნებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 650	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრული შესაბამისობით შეაფასა დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი…		
ინდიკატორი …		
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	სკოლის ყველა თანამშრომელს უნდა ქონდეს კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები: „ნასამართლეობის შესახებ“; „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ და “უფლების ჩამორთმევის“ შესახებ 2023 წლის 15 დეკემბრამდე.
ინდიკატორი 3.4.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების/მდგრადობის შესახებ დასკვნა; სკოლას არ აქვს დასკვნა

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის შესახებ და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ; ინდიკატორის მოთხოვნა სკოლამ უნდ უზრუნველყოს 2024 წლის 16 ივნისამდე.
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 4.1.1.3.	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება	სკოლამ, 2023 წლის 30 დეკემბრამდე, უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულება ყველა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან.

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი* (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის აყვანა
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*რჩევა*

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**ინდიკატორი 2.1.2.1** – შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***საზოგადოებრივი კათედრა:*** სასურველი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესების დაგეგმვისას გაამრავალფეროვნონ შესასწავლი საკითხები, კონტექსტ - მაგალითებით და რესურსებით და ასახონ საგნობრივ კურიკულუმში.
კომპონენტი 2.1	**ინდიკატორი 2.1.2.2. –** კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო	***საზოგადოებრივი კათედრა*** :სასურველია, ყველა სავალდებულო თემაში ყველა სამიზნე ცნება იქნეს დამუშავებული.

კურიკულუმის შემუშავება	გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**ინდიკატორი 2.1.2.4.-** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	**ქართული ენის კათედრა**: სამომავლოდ შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**ინდიკატორი 2.2.2.1.** - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	***საზოგადოებრივი კათედრა:*** სასურველია ყველა სავალდებულო თემაში ყველა სამიზნე ცნება იყოს დამუშავებული შერჩეული საკითხები, მჭიდრო კორელაციაში იყოს სამიზნე ცნების მკვიდრ წრმოდგენეთან.
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*რჩევა*
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**ინდიკატორი 2.1.2.1** – შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***საბუნებისმეტყველო კათედრა*** : სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემის სწავლებისას განახორციელონ ერთი კომპლექსური დავალება მაინც.
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**ინდიკატორი 2.1.2.4.-** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	***საბუნებისმეტყველო კათედრა:*** ყველა კომპლექსური დავალების ფარგლებში მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტში წარმოდგენილი ინდიკატორების შესაბამისად მოამზადონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**ინდიკატორი 2.2.1.4** -სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);	***საბუნებისმეტყველო კათედრა***: სასურველია, სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო კაბინეტ/ლაბორატორიაში ახალი, თანამედროვე რესურსის შეძენაზე.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*რჩევა*
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**ინდიკატორი 2.1.2.4**.- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	***საბუნებისმეტყველო კათედრა:*** ყველა კომპლექსური დავალების ფარგლებში მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტში წარმოდგენილი ინდიკატორების შესაბამისად მოამზადონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**ინდიკატორი 2.2.1.4** -სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);	***საბუნებისმეტყველო კათედრა***: სასურველია, სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო კაბინეტ/ლაბორატორიაში ახალი, თანამედროვე რესურსის შეძენაზე.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ-ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც დასკვნის პროექტში ასახული დახარვეზებული სტანდარტის ინდიკატორებისთვის (3.1.2.3; 3.4.1.4. და 4.1.1.3) განსაზღვრულია ვადა 2023 წლის 15 დეკემბრიდან, 2024 წლის 15 ივნისამდე.
კერძოდ, 3.1.2.3. და 4.1.1.3. ინდიკატორების გამოსწორების ვალდებულება სკოლამ აიღო შესაბამისად 2023 წლის 15 და 30 დეკემბრამდე, ხოლო 3.4.1.4. ინდიკატორის 2024 წლის 15 ივნისამდე.
ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, გაეთვალისწინებინა შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადის მიხედვით განსაზღვრული ვალდებულება, რომ სკოლის ყველა თანამშრომელს უნდა ქონდეს კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები: „ნასამართლეობის შესახებ“; „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ და “უფლების ჩამორთმევის“ შესახებ, ასევე დადოს ხელშეკრულება ყველა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან და

უზრუნველყოს სკოლის ექსპლუატაციაში შესვლის პროცედურა და შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა;

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ სკოლის მისიის საშუალებით განისაზღვრება ორგანიზაციის იდენტობა და განვითარების გზები. ამიტომაც სკოლის მისია წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის საფუძველს. მისია გადმოგვცემს სკოლის გზავნილს: შექმნას პოზიტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო სასწავლო გარემო, აღზარდოს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, ფუნდამენტური ღირებულებების მქონე, მომავალი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მოქალაქეები. სკოლა, სამომავალო ხედვაში, თავს მოიაზრებს მოთხოვნად, ლიდერ საგანმანათლებლო დაწესებულებად, სადაც მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება მიიღონ როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლებია და თავი იგრძნონ მომავლის მოქალაქის თანამონაწილედ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართან.**

2. სკოლა თავისი მისიითა და ხედვით საზღვრავს თავისი საქმიანობის ძირითად პრიორიტეტს - სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნას უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. ამიტომ, სკოლა ცდილობს

ჩამოაყალიბოს ისეთი სასკოლო კლიმატი, სადაც დამკვიდრებული იქნება წესების მკაფიოდ განსაზღვრული სისტემა, რომელიც მოემსახურება სასკოლო საზოგადოების მდგრად განვითარებას და მხარდაჭერას. სკოლაში დასაქმებულია უსაფრთხო გარემოზე პასუხისმგებელი, კომპეტენტური ადამიანები (ექიმი, მანდატური), მოქმედებს ინსტრუქციები. დერეფნებში არსებულ თავისუფალ სივრცეებში შექმნილი აქვს ესთეტიკურად ლამაზი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, რომელიც სასკოლო საზოგადოებისთვის ურთიერთობისა და სხვადასხვა აქტივობების ადგილს წარმოადგენს. სკოლის კედლებზე განთავსებულია სასკოლო აქტივობების ამსახველი ვიზუალური მასალა. სკოლა აღჭურვილია სასწავლო ტექნოლოგიებით, ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები. სკოლას დიდი აქცენტი აქვს არაფორმალურ განათლებაზე და ეს გაცხადებულია სკოლის 2023-2024 წ/წლის სასწავლო გეგმაში. სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სხვადასხვა აქტივობები: სოციალური თუ საგანმანათლებლო პროექტები, ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები. კერძოდ, კალათბურთისა, ჭადრაკის და ხელოვნების წრეები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შეიქმნა სკოლის დირექტორის ბრძანებით N 1/კ- 64 (04/07/2023). სამუშაო ჯგუფი გაეცნო „მისიის, ხედვის, ღირებულებისა და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“-ს (შემდეგ-მეთოდოლოგია) და მოქმედებდა გაწერილი წესის შესაბამისად. სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მეთოდოლოგია ითვალისწინებს, სამუშაო ჯგუფის მიერ დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტების გაზიარებას. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ სამუშაო ჯგუფში ჩართვამდე, ონლაინ შეხვდა სამეურვეო საბჭოს წევრებს, მოისმინა მათი სურვილები, შეაგროვა ინფორმაცია და ისე ჩაერთო ჯგუფის მუშაობაში. საბოლოოდ კი პროექტი გააცნო და შეუთანხმა დირექციასთან ერთად სამეურვეო საბჭოს. სკოლის არსებული მისიის ახლებური ფორმულირება სკოლამ შეათანხმა პედაგოგიურ საბჭოზეც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან შეხვედრისას დაკონკრეტდა რომ მათი საქმიანობა ეყრდნობოდა მეთოდოლოგიაში გაწერილი პროცედურებს და ინსტრუმენტად გამოიყენეს კითხვარი, რამაც შესაძლებელი გახადა სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობა და მათი პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება. სკოლის თვითშეფასებაში წერია, რომ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესში, სკოლა უზრუნველყოფს მუდმივად ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარესთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები ატვირთული აქვს ვებ. გვერდზე. გამოკრული აქვს თვალსაჩინო ადგილას სკოლის შესასვლელში. ასახული აქვს სადამრიგებლო პროგრამებში სკოლის კედლებზე გამოკრულია სხვადასხვა სახის აქტივობა, სადაც პრაქტიკული საქმიანობით არის გაცხადებული სასკოლო ფილოსოფია და საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლაში მოსული ნებისმიერი პირისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის ოფიციალური სახელწოდებაა „სსიპ-ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლა“, რაც შესაბამისობაშია მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;**
- **სკოლის თვითშეფასება;**
- **ინტერვიუ სამუშაო ჯგუფის წევრებთან;**
- **სკოლის ვიზუალური მასალა**
- **სკოლის დირექტორის ბრძანება N 1/კ- 64 (04/07/2023).**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება
  -

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში ჩართულია სკოლის საგნობრივი კათედრები, სამეურვეო საბჭო, დირექცია და მშობლები. ჯგუფის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვაზე, კოორდინაციაზე, კომუნიკაციაზე სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

   - სკოლის მონაცემების შეგროვება;
   - SWOT ანალიზი
   - საქმიანობის დაგეგმვა
   - განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგი

   შეგროვებული მონაცემების დამუშავების შემდეგ, შედგა გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული და/ან ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა. მეთოდოლოგია დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და რის მიხედვითაც შემდგომშიც გააგრძელებს სკოლა საქმიანობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლაა აქვს სკოლის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე დაფუძნებული ციკლური (შვიდწლიანი) სტრატეგიული გეგმა, რომელიც შემუშავებულია მეთოდოლოგიაში გაწერილი ეტაპების მიხედვით, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. სტრატეგიული განვითარების გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მოიცავს 7 სტრატეგიულ მიზანს:

   - სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა
   - საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
   - სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის მუდმივი განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება

- ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში
- უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო
- მოსწავლეთა მხარდაჭერა.

კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად მასში ასახულია მიზნების მიღწევის გზები (აქტივობები), შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და შედეგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას აქვს ერთწლიანი (2023-2024 სასწავლო წლის) სამოქმედო გეგმა, რომლის შესავალში გაცხადებული აქვს, რომ ამ გეგმის შედგენისას იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რეფლექსიით. გარდა ამისა, შეაფასა ახალი გამოწვევები და მეტი განვითარებისათვის გამოყო 7 ძირითადი მიმართულება, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან. აქვე ადასტურებს, რომ გათვალისწინებული აქვს მთელი რიგი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს დასახული ამოცანების შესრულებას და საბოლოო ჯამში ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევას. სამოქმედო გეგმის შედგენაზე იმუშავა სამუშაო ჯგუფმა მეთოდოლოგიაში გაწერილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გრაფიკულად არის მითითებული დაგეგმილი საქმიანობების ვადები. განსაზღვრულაი სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და/ან სკოლის სტრუქტურული ერთეულები და ფინანსური რესურსი. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ასახავს სკოლის საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს და მისი შესრულების რეალისტურ გზებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- **სკოლის დირექტორის ბრძანება N 1/კ- 64 (04/07/2023).**
- **„მისიის, ხედვის, ღირებულებისა და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“;**
- **სკოლის სტრატეგიული განვითარების 2023-2030 წლის გეგმა;**
- **სკოლის სამოქმედო გეგმა 2023-2024 წლის;**

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას, მოიცავს მონიტორინგსა (მუხლი 10) და SWOT ანალიზს (მუხლი.11). სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში წერია, რომ: „შესრულების მონიტორინგი გულისხმობს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს სკოლის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტურობის და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემურ და დისციპლინირებული პროცესს. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას დაწესებულების საქმიანობის შესახებ“. მონიტორინგისთვის სკოლა ძირითადად იყენებს სტრუქტურული ერთეულების და/ან ცალკეული პასუხისმგებელი პირების ანგარიშებს და შესაბამის მტკიცებულებებს, რის საფუძველზეც ავსებს ცხრილებს, რის შემდეგაც სამუშაო ჯგუფი აკეთებს ანალიზს. ექსპერტთაა ჯგუფმა SWOT ანალიზი, რომლის ძლიერი და სუსტი მხარეები შესაბამისობაში იყო სკოლაში არსებულ სიტუაციასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
2. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც სტრატეგიული და/ან სამოქმედო გეგმის გაუმჯობესების პროცესს წარმართავს დირექტორის მ/შ და მასში ჩართულები არიან სკოლის სტრუქტურული ერთეულები. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობის მექანიზმი, საიდანაც ირკვევა, რომ სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შიგნითაც გადანაწილებულია ფუნქციები და მიმართულებები. ჯგუფის აგროვებს ინფორმაციას პასუხისმგებელი პირების (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დამრიგებლები, კათედრები, მასწავლებლები, კათედრის ხელმძღვანელები, საინფორმაციო მენეჯერი, ტუტორები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ისგ-ს მონიტორინგის ჯგუფი) მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშიდან. ჯგუფის ორგანიზებით გაიმართა გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის

თავმჯდომარემ დეტალურად განიხილა სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმა და თითოეულ აქტივობას მიანიჭა შესაბამისი სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. ანალიზი და უკუკავშირი საფუძვლად უდევს სკოლის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელის გააქტიურებაც პორტალზე მოხდა მიმდინარე ზაფხულის პერიოდში. სკოლას მასზე დაწყებული აქვს კანონით გათვალისწინებული სასკოლო რეგულაციების ატვირთვა. მათ შორის სკოლის განვითარებისთვის წარმოებული სხვადასხვა საქმიანობები და მათი შედეგები. ასევე გეგმავს შემდგომში გაგრძელებას და აქტივობების გამრავალფეროვნებას. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები, ასევე სკოლის სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე. აქვს SWOT ანალიზის საფუძველზე შექმნილი და მეთოდოლოგიის შესაბამისად დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების ციკლური (შვიდწლიანი) გეგმა და მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმა. აქვს სრული მზაობა შემდგომშიც დაგეგმოს და იხელმძღვანელოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი საქმიანობების შეფასებითა და შედეგებით, რომლის მიხედვითაც დასახავს მიზნებს შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ვებგვერდი;**
- **ინტერვიუ სკოლის დირექტორის მ/შ-თან.**
- **„მისიის, ხედვის, ღირებულებისა და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“;**
- **სკოლის სტრატეგიული განვითარების 2023-2030 წლის გეგმა;**
- **სკოლის სამოქმედო გეგმა 2023-2024 წლის;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. საგაკვეთილო ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქმიანობს „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“, რომელიც შედგება 10 მასწავლებლისაგან (ყველა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლები). სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და ექიმი, რომლებიც საკუთარი ვალდებულების შესრულებისას ხელმძღვანელობენ კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაცისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულებს შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამუშაო გეგმა, რომლის თანახმადაც მოქმედებენ. სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო ნუსხით. მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**;

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები მოქმედებენ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობით,

რაც დაადასტურა სკოლის დირექტორის მ/შ და სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმებსა და მათ მიერ წარმოეულ სხდომების ოქმებშიც არის ეს ასახული, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის, როგორც ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ კარგად ჩანს ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე. სკოლისთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მხარდაჭერა და დასაქმება. ამის შესანიშნავი მაგალითია მაძიებლის სატატუსის მქონე მათემატიკის მასწავლებლისათვის ტუტორის განსაზღვრა. სკოლის დირექტორთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ ტუტორი მაძიებელს უწევდა მუდმივ დახმარებას და მხარდაჭერას ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრისა და პროგრამის შემუშავებისა და პრაქტიკის დახვეწის მიზნით, ეხმარებოდა მაძიებლის პროფესიულ საქაღალდეში განსათავსებელი დოკუმენტების მოწესრიგებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დანართი N7 საშტატო განრიგი**
- **დანართი N8 თანამდებობრივი ინსტრუქციები**
- **დანართი N13 ტუტორის განსაზღვრის შესახებ; 1/კ-102**
- **დანართი N14 პრაქტიკის კურსის შეფასება;**
- **დანართი N15 პედაგოგი მაძიებლის სამოქმედო გეგმა.**
- **თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები;**
- **სამეურვეო საბჭოს ოქმები N1; N2; N3; N4; N5;**
- **პედაგოგიური საბჭოს ოქმები N1; N2; N3; N4**
- **მრჩეველთა საბჭოს ოქმები N1; N2; N3; N4**

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები ერთობლიობაში მოიცავს ყველა იმ საკითხებს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასთანაა დაკავშირებული. პერსონალის მართვისას სკოლა ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, პერსონალის მართვისას ასევე ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ დადგენილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით: სკოლისშინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. შრომითი ხელშეკრულებები, თანამდებობრივი ინსტრუქციები. თანამშრომლებს შორის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები დელეგირებულია წინასწარ განსაზღვრულად, პასუხისმგებლობები გადანაწილებულია მათი ფუნქციების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის პერსონალის ინტერვენციული და პრევენციული მართვისთვის, რომ სკოლა ახდენს ადამიანური რესურსების საჭიროების ანალიზს, წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტიდან და მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ ადმინისტრაცია წინასწარ საზღვრავს საჭიროებას და ამის საფუძველზე ცდილობს დააკმაყოფილოს წარმოქმნილი მოთხოვნა. სკოლაში კადრების რაოდენობისა და სამუშაოს აღწერილობის შესაბამისად ან შიდა გადაადგილებას ახდენს, ან მოიზიდავს საჭირო კადრს გარედან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად ბრძანება 174/ნ 2019 წ. 20.08 შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. სკოლას ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით აქვს მოქმედ კანონმდებლობაზე დაფუძნებული კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი. ცხადდება ჯერ შიდა კონკურსი, თუ კანდიდატი ვერ შეირჩა შემდეგ ღია. პროცედურა მიმდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე კონკურსის წესით ხდება ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების შერჩევა. საკონკურსო განაცხადი ქვეყნდება ლინკზე (https://teacherjobs.ge/?position=&subject=&class=&school=202055587&district=). ვიზიტის დროს *სკოლაში გადამოწმდა თანამშრომების პირადი საქმეები. 3 დასაქმებულს არ აღმოაჩნდა კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები. „ნასამართლეობის შესახებ"; „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ" და უფლების შესახებ. შესაბამისობის გეგმაში გაწერილი საქმიანობისა და ვადების გათვალისწინებით* (2023 წლის 15 დეკემბერი) **ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და დასაქმებული 44 მასწავლებლიდან ყველა აკმაყოფილებს მასწავლებლებისთვის „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით" და „ეროვნული

კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ აღწერილ მოთხოვნებს. სკოლაში დასქმებული 44 მასწავლებელიდან, ერთი მოწვეულია, 28 უფროსი მასწავლებელია(მათ შორის 2 სპეც მასწავლებელი) და 15 წამყვანია. სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს აქვს პირადი საქმე, სადაც წარმოდგენილია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია, მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებების სტატუსის შესაბამისად (მაძიებელი, უფროსი, წამყვანი). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის მართვის ორგანიზაციული კულტურა აგებულია თანამშრომლობის პრინციპზე. ხშირია ურთიერთდასწრება გაკვეთილებზე, რომლის საფუძველი მხარდაჭერაა. ზოგადად სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა. მოსწავლეებს, პედაგოგებს და ადმინისტრაციასა და დირექციას ერთმანეთთან აქვთ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც მათ საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. სკოლაში არსებული მიუკერძოებელი და სამართლიანი ატმოსფერო გუნდური მუშაობის მყარ საფუძველს ქმნის. დაცულია მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულ პირთა კონფიდენციალობა. ყველა თანამშრომელი ცდილობს თავიდან აირიდოს კონფლიქტური სიტუაციები და მოაგვაროს დირექციასთან დიალოგით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა წახალისების გამჭვირვალე სისტემა, რაც ასახულია სკოლის ამჟამინდელ შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები;
ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.
დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით, გარდა დღესასწაულებთან დაკავშირებით წახალისების ფორმის გამოყენებისა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის შინაგანაწესი;**
- **საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანება;**
- **საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;**
- **თანამშრომელთა პირადი საქმეები;**
- **შრომითი ხელშეკრულებები;**
- **Eschool ბაზის მონაცემები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ეს შეფასება ხორციელდება მათი პროფესიული განვითარებისთვის და წინსვლისთვის. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება-შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებებისსაფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა სკოლის ბაზაზე წარმოდგენილია კათედრების გეგმებში. ასევე გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მნიშნელოვან ნაწილად, რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხდება ურთიერთსწავლებით, შეხვედრებით, კათედრების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლის კარიერულ ზრდას. სკოლის პედაგოგები რეგულარულად ესწრებიან სტატუსის შესაბამისად, მათთვის განკუთვნილ ტრენინგებს, რასაც ადასტურებს მასწავლებლის სახლის მიერ გაცემული შესაბამისი სერტიფიკატები. ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება. ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები, რომლითაც სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენა გახდა შესაძლებელი. გარდა ამისა, სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებში, პროექტებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლაში, ახალი თანამშრომლის, ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი და საგნობრივი კათედრა. ისინი აცნობენ ახალ თანამშრომელს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს, დამოკიდებულებებს, ღირებულებებს. სოციალიზაციისთვის სკოლა ახალ თანამშრომელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, ათვალიერებინებს ტერიტორიას, წარადგენს პედსაბჭოზე და/ან შეხვედრაზე, ამატებს სკოლის საკომუნიკაციო სოციალურ ქსელში, აცნობს სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და სამომავლო გეგმებს. ასევე თუ მასწავლებლის შემთხვევაში კათედრის გამგე ადაპტაციის პერიოდში, უფრო აქტიურად ეკონტაქტება და საჭიროების შემთხვევაში აძლევს დამატებით რეკომენდაციებს. ასევე იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი სასწავლო წლის მიმდინარეობისას იწყებს საქმიანობას ხდება მისი წარდგინება მოსწავლეთა წინაშე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის საგნობრივი კათედრები ურთიერთთანამშრომლობით არაერთ მნიშვნელოვან ინიციატივას ნერგავენ. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა კათედრების სამოქმედო გეგმები, სადაც მოცემული იყო კათედრის წევრების ინიციატივები პროექტების სახით. ინტერვიუირების დროს დაასახელეს არაერთი პროექტი, რომელიც მოსწავლის იდეით თუ მასწავლებლის ინიციატივით იყო წამოწყებული. ამ პროექტების წინასწარ განსაზღვრულ ვადებში განხორციელება სკოლის მხრიდან დიდ მხარდაჭერაზე მიუთითებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;**
- **ურთიერთდასწრების მასალები;**
- **ინტერვიუ სკოლის დირექტორთან და თანამშრომლებთან;**
- **ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის მექანიზმები და დამტკიცებული აქვს 2023 წლის 3 ივლისის ბრძანება N.1/კ-62 „სსიპ ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ“ დოკუმენტი. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. იგი უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გამჭვირვალობა, მონაწილეობითობა, უწყვეტობა და ანგარიშვალდებულება. დოკუმენტი ეხმარება სკოლას სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებაში, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობაში. სკოლამ ასევე წარმოადგინა ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი, რომლითაც დგინდება რომ ჯგუფის მიზანია მასწავლებლების კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, ამისათვის ჯგუფის წევრები არამარტო აწარმოებენ მასწავლებლების მუშაობის მონიტორინგს, არამედ მუდმივად უკუკავშირის რეჟიმში არიან და საჭირო რჩევებით უზრუნველყოფენ სწავლის ხარისხის ამაღლებას. ასევე, სკოლის დირექტორითან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით და მზად არიან უზრუნველყონ სკოლაში ხარისხის უწყვეტი ციკლი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული. ინტერვიუირების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, ბიბლიოთეკარმა, ბუღალტერმა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურებს. მასწავლებლის და მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის და პასუხისმგებლობის სახეები (ცალ-ცალკე), დისციპლინური წარმოების წესი (მოსწავლისთვის და მასწავლებლისათვის), განცხადების და საჩივრის განხილვის წესი და ა.შ. სკოლაში მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი. საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგთა შესარჩევ კონკურსებთან დაკავშირებით, სკოლაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშკრულების პირობების გაცნობით, შინაგანაწესის გაცნობით კლასის დამრიგებლის მიერ ჩანიშნულ კრებაზე. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და პასუხისმგებლობის სახეები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის შინაგანაწესი;**
- **შრომითი ხელშეკრულებები;**
- **ხარისხის განვითარების ჯგუფის სხდომის ოქმი;**
- **ინტერვიუს შედეგები.**
- **ბრძანება N.1/კ-62**

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს სკოლის Microsoft Teams - ის პლატფორმას, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სოციალურ გვერდებს. პედაგოგებთან და საქმისმწარმოებელთან ინტერვიუირებამ აჩვენა, რომ სკოლა სოციალურ ჯგუფებში ავრცელებს ინფორმაციას სასწავლო პროგრამების, სასწავლო რეჟიმის, არაფორმალური განათლების აქტივობების შესახებ. სკოლა ახორციელებს მშობლების კვლევების სპეციალური კითხვარების საშუალებით, რომელიც მატერიალური სახით მიეწოდება სკოლის წარმომადგენლებს. დირექცია განიხილავს შემოსულ წინადადებებს და მათ სურვილებს ასახავს სასკოლო საქმიანობაში. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მშობლებთან კომუნიკაცია. მშობლებთან კომუნიკაციას თითქმის ყოველდღიურად ამყარებს კლასის დამრიგებელი და ის აწვდის ინფორმაციას ყველა საკითხზე. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებს: მოსწავლეთა შეფასების სისტემას და ა.შ. გარდა ამისა, სკოლაში იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, სადაც მასწავლებლები მშობლებს საკუთარი შვილის შედეგების შესახებ აწვდიან ინფორმაციას. ყოველ პარასკევს, გაკვეთილების დასრულების შემდეგ, მშობლებისთვის არის „ღია კარი“ და მათ ეძლევათ მასწავლებლებთან პირისპირ კომუნიკაციის შესაძლებლობა.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. ყველა სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია პარიტეტულ საწყისზე. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მყოფი მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. დისციპლინური კომიტეტიც მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას (ოქმები, გადაწყვეტილებები), რამაც ნათლად დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;**
- **სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმები (თვითმმართველობა, პედ. საბჭო);**
- **მშობელთა კითხვარები და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;**
- **ინტერვიუს შედეგები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა არის ახლად ერთ-ერთი პირველითაგანი, რომელსაც ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. ახალ შენობაში სასწავლო პროცესი განახლდა 2018 წლის ნოემბერს, თუმცა დღესაც არ არის შესული ექსპლუატაციაში. შესაბამისად *<u>სკოლამ ვერ წარმოადგინა,</u>*

<u>უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დასკვნა.</u> სკოლის ტერიტორია, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემოღობილია, მოწესრიგებულია სკოლის ეზო. სკოლას ჰყავს 3 მანდატური. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა სკოლამ ვერ მოახერხა (მიუხედავად იმისა, რომ სრულად არის აღჭურვილი) ექსპლუატაციაში შეუსვლელობის გამო. სკოლას გააჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა. სკოლაში შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი და განაწილებულია ფუნქციები. ასევე სკოლაში არის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დაკავებული თანამდებობით ან შესასრულებელი სამუშაოების ხასიათის მიხედვით ასრულებს სახანძრო უსაფრთხოების შესაბამის წესებს. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლაში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები სართულების მიხედვით და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, რომელიც განთავსებულია მოთხოვნის შესაბამის ადგილებზე. ასევე, სკოლამ წარმოადგინა ბრძანებები: უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ; პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ზემოაღნიშნული ბრძანებით დადგენილ შესაბამისად აღჭურვილ სამედიცინო კაბინეტში. ვიზიტის პერიოდში შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მედიკამენტების ვარგისიანობა, რომელიც წესრიგში იყო. *<u>შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების/მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვებას და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებას 2024 წლის 15 ივნისამდე.</u>* **<u>ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>**

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მოქმედებს სპეციალური ინსტრუქციები. ამის გარდა, სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების პასუხისმგებელი პირი, ჰყავს 3 მანდატური, ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სკოლას შემუშავებული აქვს უცხო პირთა გადაადგილების წესი. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. სკოლის სოციო-კულტურული გარემო ეფუძნება სკოლის ხედვასა და მისიას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოს კონკრეტული შემთხვევების მართვა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. ორგანიზაციული კულტურიდან და განხორციელებული საქმიანობიდან, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოა. ამას მოწმობს სხვადასხვა კლასის მოსწავლეების მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტების ვიზუალური მასალა. სკოლის დერეფნებში მოწყობილია თავისუფალი სივრცეები, ყვავილების

ორანჟერეა, რაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განიტვირთონ ემოციურად, დაიკმაყოფილონ ინტერესები. ეს ყველაფერი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეების და სკოლაში დასაქმებული სხვა თანამშრომლების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლაში დასაქმებული დამლაგებლების რაოდენობა საკმარისი არ არის. მათ ფუნქციებში გაწერილია დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. ვიზუალური დათვალიერებით, სკოლაში დაცულია სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში. სკოლას შემუშავებული აქვას ინსტრუქციები სკოლის მოვლა პატრონობასთან დაკავშირებით. მასზე პასუხიამგებელი პირი სკოლის ექიმია, რომელიც ვალდებულია სისტემატურად თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას სკოლის შემოსასვლელის, საკლასო ოთახების, დერეფნების, სან.კვანძების დასუფთავების ვალდებულებები და თვალყური ადევნოს მის შესრულებას. ინსტრუქციებით განსაზღვრულია გრაფიკი, როდის და როგორ უნდა დალაგდეს სკოლის სხვადასხვა სივრცე - საპირფარეშო, საკლასო ოთახი, დერეფნები, ეზო და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლას დირექტორის ბრძანებით (N1/კ-103 2018 წლის 6 დეკემბერი) დანიშნული ჰყავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მოქმედებს კანონის შესაბამისად. სკოლამ შეიმუშავა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები ბრძანება 1/კ-73 10/07/2023, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. აგრეთვე 1/კ-74 10/07/2023 ბრძანებით გაინსაზღვრა სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელიპირი, რომელიც ვალდებულია სისტემატიურად მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირების მიერ მონაცემთა დამუშავებას. მათ შორის მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისა და მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის ვიზუალური დათვალიერებით და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დაადგინა, რომ სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები დაცულია, შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

7. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც რეგულარულად ატარებს სხდომებს. სხდომებზე განხილულია სხვადასხვა საკითხი, რომელიც ძირითადად მიმართულია სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სკოლის დირექტორის განმარტებით ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს სტრუქტურირებული კითხვარებით უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას. სკოლისათვის მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროცესი იყოს სისტემური და არა ერთჯერადი, რათა შედეგების ანალიზის საფუძველზე მოვახდინოთ შესაბამისი ცვლილებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ექიმის ხელშეკრულება;
- გაგზავნილი კორესპონდენციები;
- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- დანართი N34 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- დანართი N35 პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები
- დანართი N36 პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი
- დამლაგებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შენობის საკადასტრო კოდი: 01.13.06.014.006. სკოლა თავისი ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით განსაზღვრავს მოსწავლეთა სავარაუდო ზღვრულ რაოდენობას 650 მოსწავლით, თუმცა დირექციის განცხადებით, მათ ორ ცვლაში შეუძლიათ 1000 მოსწავლის მიღება. ამის შესახებ სკოლამ, ექსპერტების ვიზიტის პერიოდში, წერილით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და ითხოვა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 1000-მდე. სკოლა არის სამ სართულიანი (ასევე აქვს ტექნიკური სართული), სულ 26 საკლასო ოთახი. სკოლაში 31 ფინანსური კლასია სადაც სწავლობს 800-ზე მეტი მოსწავლე. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და კომპიუტერული ლაბორატორიები. მეორე სართულზე სააქტო დარბაზია, მესამეზე - სპორტული დარბაზი. სამივე სართულზე არის დერეფნები, სადაც მოწყობილია სარეკრიაციო ზონები. სკოლას აქვს 3837მ^2 ეზო, რომელიც შემოღობილი და კეთილმოწყობილია. მათ შორის შიდა ეზო, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა საგაკვეთილო და შემეცნებითი აქტივობებისათვის. სკოლას აქვს მოსწავლეთა საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის მატერიალური რესურსები. ინდივიდუალური მერხები შესაბამისი საფეხურების მიხედვით.

თითოეულ საკლასო ოთახში დამონტაჟებულია დაფა, კარადები საგაკვეთილო რესურსების შესანახად. შენობა მთლიანად ადაპტირებულია, აქვს ლიფტი. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სკოლაში არ ფუნქციონირებს ბუფეტი, რადგან სკოლა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული. სკოლამ მიმართა სსიპ ინფრასტრუქტურის სააგენტოს წერილით N629312 (01/06/2023), თბილისის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას განცხადებით N01231701992-17(19/06/2023) შენობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა ზრუნავს მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისთვის კომფორტული და უსაფრთხო აკადემიური გარემოს შექმნისათვის და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის. ბიბლიოთეკაში განთავსებულია წიგნის კარადები, კომპიუტერი ბიბლიოთეკარისათვის, მულტიფუნქციური პრინტერი, მაგიდები და სკამები, პროექტორი. აქვს წიგნადი ფონდი როგორც მხატვრული ასევე მეთოდური ლიტერატურა (6217 წიგნი). რესურსოთახი განთავსებულია შენობის მეორე სართულზე. აღჭურვილია სპეციალური ინვენტარით, ინდივიდუალური კარადებით, კომპიუტერით, პრინტერით, მერხებით, სკამებით, წიგნებითა და სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით, მოსწავლეთა საჭიროებებისგათვალისწინებით. რესურსოთახში მთელი დღის განმავლობაში წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს ინდივიდუალური მუშაობა სსსმ მოსწავლეებთან, ასევე ტარდება შეხვედრები სსსმ მოსწავლის მშობლებთან. კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია შენობის მეორე სართულზე დაახლოებით 45კვ.მ. ოთახში, უზრუნველყოფილია ქსელური დაუსადენო ინტერნეტით. ლაბორატორიაში არის 21 კომპიუტერი და 6 ლეპტოპი, ერთი პროექტორი. არსებულ სივრცეს სკოლა იყენებს საგაკვეთილო პროცესისათვის. სამასწავლებლო არის შენობის მეორე სართულზე ამ სივრცეში დამონტაჟებულია კარადები, სადაც ყველა მასწავლებისათვის გამოყოფილია ინდივიდუალური სათავსო, დგას საოფისე ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა. სამივე სართულზე არის რეკრეაციული სივრცები, შექმნილია „მწვანე გარემო“ ოთახის მცენარეებით. არსებულ გარემოში არის შესაძლებლობა მოსვენების როგორც საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას ასევე დასრულებისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, შენობა მთლიანად ადაპტირებულია ყველა კატეგორიის მოსწავლისთვის. სკოლას შესასვლელში აქვს პანდუსი, შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი. ყველა სველი წერტილი და საპირფარეშო ადაპტირებულია, სკოლას ჰყავს სპეც. პედაგოგები, მეტყველების სპეციალისტი და აქვს ყველანაირი საჭიროებით აღჭურვილი რესურს ოთახი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი აღიქმებოდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. აქვს ეზო, რომელიც გამწვანებულია და ჩანს სხვადასხვა სოციალური აქტივობების შესაძლებლობა. მაგალითად სადამრიგებლო საათის ფარგლებში ტარდება შეხვედრები მშობლებთან ,,ჩემი პროფესია“, სადაც მშობლები თავისი პროფესიის შესახებ საუბრობენ, მსჯელობენ რა პრობლემები და წინააღმდეგობები შეიძლება ჰქონდეს ამ პროფესიას, რა აქვს მომხიბლავი, საინტერესო. კურსდამთავრებულები ხშირად მართავენ შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან, ერთად თამაშობენ კალათბურთს. სკოლას ტრადიცია აქვს, რომ კუსდამთავრებულები მოდიან პირველი კლასის დამრიგებლებს ეხმარებიან სასწავლოდა გარემოს მოწესრიგებასა და მომზადებაში პირველკლასების მისაღებად. სკოლა უთმობს მოსწავლეებს, მასწავლებლებს სხვადასხვა სივრცეებს, სააქტო დარბაზს, ეზოს, ფოიეს, სპორტულ დარბაზს თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული აქტივობებისა და პროექტების განსახორციელებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლაში არსებობს კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები, კერძოდ: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები; დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები სხვადასხვა საგნებში). სწავლა-სწავლების პროცესში სასკოლო სახელმძღვანელოები ერთ-ერთ ძირითად რესურსს წარმოადგენს. სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, რომელიც, სასწავლო წლის დასაწყისში მიღებაჩაბარების აქტით გადაეცემა თითოეულ მოსწავლეს. მასწავლებლები გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების გარდა, სწავლებისას დამატებითი რესურსის სახით იყენებენ სხვა საგანმანათლებლო რესურსს და თვალსაჩინოებას. სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია: საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები (ვიდეო, DVD, კომპაქტური დისკები); სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.); ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, ბუნებრივი გარემო და სხვ. საანგარიშო, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრით, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მაგნიტური სამაგრით, ქართული ანბანი, ბიოგრაფიული თვალსაჩინოებები და ა.შ რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, მაგნიტები, კომპასი, გლობუსი და ა.შ ლაბორატორიის სრული კომპლექტი, მულაჟების, პლაკატები, რეაქტივები, ბურთები, ჭადრაკი დაფები, ჰულაჰუპები და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

- **დანართი N37**
- **დანართი N38**
- **დანართი N39**
- **დანართი N40 ბიბლიოთეკის მუშაობის წესის**

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლა უზრუნველყოფილია უსადენო კაბელით (WI-FI) და აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, რომელიც აღჭურვილია 31 პერსონალური კომპიუტერით, 30 ლეპტოპით, პროცესორითა და 22 პროექტორით. ლაბორატორიაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი. აქ ტარდება არა მხოლოდ ისტ-ის გაკვეთილები, არამედ საჭიროებისამებრ იყენებენ სხვა მასწავლებლებიც. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ მოსწავლეებთან ერთად და მიიღონ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია. სკოლას აქვს ასევე მულტიფუნქციური და ლაზერული პრინტერები. ასევე ყველა კათედრა, სამასწავლებლო და რესურსოთახი აღჭურვილია კომპიუტერითა და პროექტორით. სკოლა მართვაში, ელექტრონული საქმის წარმოებისთვის, ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ამ თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით სკოლა მარტივად იღებს და ავრცელებს სრულყოფილ ინფორმაციას სხვადასხვა საჯარო ინსტანციაში. დღევანდელმა სკოლამ სიახლეები მოითხოვა ტექნოლოგიების კუთხითაც, რომლის გამოყენება, საგაკვეთილო პროცესში, საშუალებას გვაძლევს უფრო აღქმადი იყოს ესა თუ ის საკითხი. მისი ცოდნა და გამოყენება შესაბამის კომპეტენციებს მოითხოვს, რომელიც შესწავლას და განვითარებას საჭიროებს. ამ მიზნით სკოლაში შექმნილი ჯგუფი იმუშავებს ციფრული ტექნოლოგიების სკოლაში დანერგვისა და განვითარების სამოქმედო გეგმაზე, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება და ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, გამოყოფილია საზიარო სივრცეები, რითიც გაზრდილია ხელმისაწვდომობა ციფრულ ტექნილოგიებზე. მოსწავლეებს და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეუძლიათ მთელი სამუშაო კვირის განმავლობაში. ბიბლიოთეკაში სამუშაო სივრცეში კი

შეეძლებათ მუშაობა ნებისმიერ დროს, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი არის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი. მასწავლებლების მიერ საგაკვეთილო პროცესში ახალი სასწავლო წლიდან გაიწერება გრაფიკი ლეპტოპის საგაკვეთილო პროცესში გამოყენებისათვის. კომპიუტერების ლაბორატორიის გამოყენების განრიგს შედგება სასკოლო ცხრილის შესაბამისად ისტის გაკვეთილების პრიორიტეტის გათვალისწინებით. ამ გრაფიკს კათედრის ხელმძღვანელები ტექნოლოგიების მასწავლებელთან შეთანხმებით შეიმუშავებენ და ამ განრიგის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი იქნება სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი. სკოლის ყველა მასწავლებელს აქვს საშუალება კომპიუტერების გამოყენების, საგაკვეთილო პროცესში (კლასში და კომპიუტერების ლაბორატორიაში). სკოლის დირექტორის თქმით სასურველია გაიზარდოს კომპიუტერების რაოდენობა, ტექნიკურად უწყვეტად უზრუნველყოფილი სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ციფრული განვითარების გეგმა;**
- **ვიზუალური დათვალიერებით.**

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის(e-flow) მეშვეობით. საქმისწარმოების გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. იგი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვისათვის საჭირო ღონისძიებებს, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო

ინფორმაციის გაცემას. ღებულობსა და ამუშავებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს მის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას. სკოლაში არის ორი ტიპის ბრძანება საკადრო და საერთო, რომელიც ინომრება წლიდან წლამდე, კალენდარული წლის დასაწყისიდან, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. წერილებსა და სამსახურეობრივ ბარათებს სარეგისტრაციო ნომრები და თარიღები ავტომატურად ენიჭება Eflow-ში რეგისტრაციის მიხედვით. სკოლას ასევე აქვს 3 სარეგისტრაციო ჟურნალი: საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებების და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. სკოლას აქვს საქმისწარმოების მარეგულირებელ სამართლებრივ აქტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

1. სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთა მმართველი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება Eflow სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;**
- **ვიზუალური დათვალიერება;**
- **ინტერვიუს შედეგები.**

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge).

სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი, სადაც თავსდება განხორციელებული და მიმდინარე პროექტებისა და ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, შეჯიბრებების და სხვა) შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომელთა საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლის სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო კავშირის მეშვეობითაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართან.**

2. სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მშობლებთან კომუნიკაცია ძალიან უმარტივდებათ და ძირითადად ხდება დამრიგებლის მეშვეობით. ასევე, განსაზღვრულია პარასკევი დღე, როგორც მშობლების დღე. ამ დღეს მოდიან მშობლები და სურვილის და საჭიროების მიხედვით ესაუბრებიან მასწავლებლებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც ახალი შექმნილია და ქართულ ენაზე ხდება სკოლის აქტივობებით შევსება. სკოლაში ვიზიტის დროს ვებგვერდი ტანდარტის შესაბამისი მოთხოვნებით იყო შევსებული. სკოლის დირექტორის განცხადებით, ახალი სასწავლო წლიდან ვებ გვერდზე ქართულად განთავსდა ყველა საჯარო დოკუმენტი და მუდმივად შეივსება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც შევსებულია. დირექტორის განცხადებით, ამ გვერდზე იტვირთება სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული სკოლის ფილოსოფია, განხილული და დამტკიცებული სასკოლო გეგმები, მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ვებ გვერდი;**
- **სკოლის ფბ გვერდი;**
- **ინტერვიუს შედეგები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. სკოლას დამატებითი დაფინანსების წყარო და/ან ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ფინანსური სახსრები, რომელიც კანონმდებლობით არის ნებადართული, არ გააჩნია. ამ ეტაპზე სკოლის ბიუჯეტი საკმარისია სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებზე და ცოტა დანაზოგიც აქვთ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის დირექტორი პედსაბჭოს თავმჯდომარის, საგნობრივი კათედრების, სკოლის დირექციის, მათ შორის ბუღალტრის და ადმინისტრაციის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა დირექტორის ანგარიში, სადაც აღწერილია მთელი წლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარჯთაღრიცხვა. დირექტორი სკოლის ფულადი სახსრების რაციონალურად განკარგვისთვის წინასწარ ადგენს ფინანსურ გეგმას, სამეურვეო საბჭო ითანხმებს ამ გეგმას და თვალყურს ადევნებს მის განკარგვას. შესყიდვების გეგმა შედგენილია ნოემბრის თვეში, ბაზრის კვლევის საფუძველზე. ასევე გათვალისწინებულია კორექტირების შესაძლებლობა, რომელიც თანხმდება სამეურვეო საბჭოსთანსაჭიროების შემთხვევაში. სკოლამ წარმოადგინა სკოლის ბიუჯეტი, ასევე ფინანსური გეგმა,შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტის დამტკიცებისა და ცვლილების ოქმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის 2022-2023 წლის დამტიკიცებული ბიუჯეტი;**
- **სკოლის 2022-2023 წლის შესყიდვების გეგმა;**
- **სკოლის დირექტორის მ/შ წლიური ფინანსური ანგარიში;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში წერია, რომ სკოლაში მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება მოსწავლი მოქმედიკანონმდებლობის შესაბამისად და ჩამოთვლილია ის ნორმებო, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია შიდა სასკოლო რეგულაციები: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის II თავი (მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები) მე-8 მუხლი სკოლას აკისრებს ვალდებულებას მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიების შესაქმნელად, ამავე დროს ანიჭებს გარკვეულ უფლებამოსილებებს მოსწავლის კანონიერი უფლებების გარანტიების განსახორციელებლად; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N79/ნ(30/08/2010) ბრძანებით „მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N57/ნ (14/10/2010) ბრძანება „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N06/ნ (30/01/2019) ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“; სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებულია 2022 წ. სამეურვეო საბჭოს სხდომა N2). სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა სასწავლო რეჟიმი, მათი უფლებები, პასუხისმგებლობები. სკოლაში, მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, შინაგანაწესში გაწერილია უცხო პირთა გადაადგილების წესი, რომლის განხორციელებას მეთვალყურეობას უწევს სპეციალური მორიგეობის ცხრილის მიხედვით გადანაწაილებული სკოლის თანამშრომლები და ღამის დარაჯი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სსსმ მოსწავლეთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარების მქონე ინკლუზიური განათლების სპეციალისტი-ორი სპეცპედაგოგი. ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი, თუმცა ამასთან დაკავშირებული სპეციალური შიდა ინსტრუქცია სკოლას არ აქვს შემუშავებული. სკოლაში შექმნილია „მრჩეველთა საბჭო,“ რომლის საქმიანობაც ორიენტირებულია სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფასა და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების რეალიზებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, შემუშავებულია შიდა ინსტრუქციები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. თითოეული დოკუმენტი არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. სკოლაში გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები შესაბამისი ნიშნულებით თვალსაჩინო ადგილას. სკოლის შინაგანაწესი კლასის ხელმძღვანელების მიერ გაზიარებულია სასწავლო წლის დაწყებისთანავე მშობელთა კრებებზე, ასევე სოციალურ ქსელში სპეციალურად შექმნილ მშობელთა სივრცეებში, სადაც მათ ეძლევათ საშუალება დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება კომენტარების სახით. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, განსაზღვრული ჰყავს პირი, რომელიც პასუხისმგებელია გვერდის ინფორმაციულ უზრუნველყოფასა და გამართულ მუშაობაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

7. სკოლას, ამ ეტაპზე, არ აქვს ხელშეკრულება ყველა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან სადაც ასახული იქნებოდა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, მათი დაცვის გარანტიები. სკოლამ ეს ახსნა იმ გარემოებით, რომ

მშობლების ნაწილმა გააპროტესტა ხელშეკრულების მუხლი 4-ით განსაზღვრული მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულაცია და აიყოლია სხვებიც. მშობლები აცხადებენ, რომ მუხლი ბუნდოვანია და ხელმოწერის შემთხვევაში სკოლას მისცემს უფლებას შეხედულებისამებრ იმოქმედოს. ვიზიტის დროს გადამოწმდა ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც ყველა საჯარო სკოლაში არსებული ხელშეკრულების იდენტურია. დირექტორის მ/შ-მ განმარტა, რომ ამ ფაქტის შესახებ მან აცნობა რაიონის საგანმანათლებლო რესურცენტრს, გაიარა კონსულტაცია. შემდეგ პირადად შეხვდა მშობლების ჯგუფს, მაგრამ ამ ეტაპზე შეთანხმებას ვერ მიაღწია. ექსპერტებისგან მას მიეცა რჩევა, რომ გააგრძელოს სწორი კომუნიკაცია მშობლებთან, შექმნას ერთობლივი ჯგუფი, შეიმუშაონ მისაღები ვარიანტი და ისე გააფორმონ შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. *შესაბამისობის გეგმაში გაწერილი საქმიანობისა და ვადების გათვალისწინებით* (2023 წლის 30 დეკემბერი) <u>ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **სკოლის შინაგანაწესი;**
- **სკოლის თანამშრომელთა მორიგეობის დამტკიცებული ცხრილი;**
- **„მრჩეველთა საბჭოს ოქმები“;**

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მ/შ-ს ბრძანებები სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და საფეხურის დაძლევის შესახებ, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესთან", ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმით დამტკიცებულ რეგულაციებთან (საფეხურის დაძლევა). გარდა ამისა, ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას განიხილეს სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები და შიდა დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდა, რომ პროცესები მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად ხორციელდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება მოწესრიგებული ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით. მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერება- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/ნ, (11/01/2017) ,,ზოგადსაგანმნათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ". მოსწავლის მობილობა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N193/ნ (19/09/2012) ბრძანებით ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ". აგრეთვე სკოლის დირექტორის მიერ N2-117 13/06/2023 წ. ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში მოსწავლეთა მობილობის წესი და N 2-118 13/06/2023 წ ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა პირველ კლასში ხდება განსხვავებულ ვადებში (I ეტაპზე) მშობლის განცხადებისა და მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების საფუძველზე. საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევის ინფორმაცია განიხილება და მტკიცდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში (ყავს 24 სსმ მოსწავლე) მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასებიდან გამომდინარე შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმები. სკოლას შემუშავებული აქვს რესურს ოთახში მასწავლებლებთან შეხვედრის გრაფიკი. მათთან ინდივიდუალურად მუშაობს სპეც. პედაგოგი. სსსმ მოსწავლეთა არსებული კონტინგენტი, ამ ეტაპზე, არ საჭიროებს ინდივიდუალურ ასისტენტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის თანამშრომლები მოქმედებენ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით, დაინტერესებულ პირებს, აწვდიან საჭირო ინფორმაციას პროგრამებისა თუ სხვადასხვა მომსახურებების შესახებ. ინფორმაცია არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. სკოლა თავის მოსწავლეებს სთავაზობს ესგ-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო მომსახურებას. რაც სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. გარდა საგაკვეთილო პროცესისა სასწავლო გეგმაში გაწერილია:
    - კლასგარეშე აქტივობები;

- საგანმანათლებლო სასკოლო პროექტები;
- ესგ-ით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება (შეთავაზებულია ფასიანი წრეების სახით -კალათბურთი, ჭადრაკი, ხატვა).
- გახანგრძლივებული სწავლება;

სკოლა მოსწავლეთა მშობლებთან შეთანხმებით ადგენს მომსახურების გაწევის სასურველ დროს და საათებს (საგაკვეთილო საათების შემდეგ ან დასვენების დღეებში). სკოლა ასევე ადგენს დამატებითი მომსახურების პირობებს, მომსახურების გაწევის დროს მკაფიოდ განსაზღვრავს შენობაში მოსწავლეთა და გარეშე პირთა გადაადგილების წესს. სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება დამატებითი მომსახურების შესახებ. სკოლის მომსახურების სახეების შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. გამოკრულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლას აქვს ვებ. გვერდი და ფბ გვერდი, სადაც იდება სხვადასხვა ინფორმაცია საგანმანათლებლო სისტემაში და უშუალოდ სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების შესახებ. ყველა სიახლე არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, მუდმივად განახლებადია და განთავსებულია მატერიალური სახით თვალსაჩინო ადგილას. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე განახლებული და არადისკრიმინაციული, რაზეც მეტყველებს სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია - მექანიზმები, ბრძანებები, წესები და დებულებები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შინაგანაწესი;**
- **საინფორმაციო სისტემის Eschool-ის ბაზა;**
- **მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის/სტატუსის შეჩერების ბრძანებები;**
- **მოსწავლეთა პირადი საქმეები;**
- **ვიზუალური მასალა;**
- **ინტერვიუს შედეგები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ზრუნავს მოსწავლეზე და მის საჭიროებებზე. ამ მიმართულებით ძირითადი საქმიანობა უწევთ დამრიგებლებს და რესურსოთახში დასაქმებულ სპეციალისტს (2 სპეც. პედაგოგი და მეტყველების სპეციალისტი) სკოლა მთლიანად ადაპტირებულია, სკოლის შემოსასვლელში არის პანდუსი. დამონტაჟებულია ლიფტი. ასევე, სკოლას ჰყავს სპეციალური განათლების ორი მასწავლებელი, მეტყველების. არ ყავს ფსიქოლოგი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგი ერთვება საქმის წარმოებაში. რესურს ოთახი აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური და შემეცნებითი უნარების განვითარებას. შერჩევითი პრინციპით გადამოწმებულ კლასის დამრიგებლის სამუშაო ჟურნალში (მესამე, მეშვიდე და მეთერთმეტე კლასები), თავმოყრილია სკოლის მისია და

სისტემურად გაწერილი აქტივობები, რასაც დამრიგებელი ახორციელებს მთელი წლის განმავლობაში. კლასის სამოქმედო გეგმები, დამრიგებლის ანგარიშები, საკლასო კრებები, განსახილველი თემები, კლასის საჭიროებები. პერსონალური ინფორმაციიდან გამომდინარე, დამრიგებლის ჟურნალში არ არის გამოყოფილი ცალკეული მოსწავლის საჭიროება, თუმცა ინტერვიუს დროს მათ მოიყვანეს მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული კონკრეტული მაგალითები (ინტერვიუს დროს არ მოხდა მოსწავლის იდენტიფიცირება). მიმდინარე სასწავლო წლიდან სადამრიგებლო პროგრამები გახდა ელექტრონული, რომლის პროგრამაც შექმნა სკოლის ისტ-ის მასწავლებელმა. პროგრამამ ადმინისტრირების თვალსაზრისით ძალიან მოქნილი, ინფორმაციული და ხელმისაწვდომი გახადა სადამრიგებლო კლასის მართვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები (დირექტორის ბრძანება N1/კ-57, 26/06/2023წ.) სასწავლო გარემოსთან, რომელიც მოიცავს ორ ძირითად ნაწილს. პირველი შეეხება პირველკლასელთა ადაპტაციიის ხელშეწყობის პროცესს, ხოლო მერე ნაწილი ეხება ყველა ნებისმიერ ახლადგადმოსულ მოსწავლეს, რომელიც ირიცხება სკოლაში (მობილობით, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით). მოსწავლეთა ადაპტაცია მოიცავს: გასაუბრებას მშობელთან და მოსწავლესთან; დამრიგებლის გაცნობას; მოსწავლის საჭიროებების დადგენას; სასკოლო წესების გაცნობა; სკოლის ინფრასტრუქტურის გაცნობას. **ინდიკატორი შესაბამისობაში სტანდარტთან.**

3. სკოლის სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სასკოლო გამოცდების ტიპებს და მისი ჩატარების წესს. აქვე დაფიქსირებულია სასკოლო გამოცდებისთვის მოსწავლეთა მხარდაჭერის საკონსულტაციო მიდგომა. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სკოლას, მიმდინარე სასწავლო წელს, არჩეული აქვს ეროვნული გეგმით შემოთავაზებული მოსწავლეთა აკადემიური შეფასების პირველი მოდელი. მოსწავლეების შეფასება ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. დირექტორის მ/შ გასაუბრებით დადგინდა, რომ განმავითარებელი შეფასების პროცესში ფასდება მოსწავლის როგორც საკლასო ოთახში მიღებული გამოცდილება, ისე კომუნიკაციის სხვა საშუალებებით მიღებული ცოდნა, მასალა, სასკოლო აქტივობები, განხორციელებული პროექტები და სხვა. მისივე განცხადებით, შემაჯამებელი დავალებები მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას შექმნას მუდმივი გაუმჯობესების საფუძვლები რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასება გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ცოდნის შესაფასებლად, არამედ მოსწავლის სწავლის პროცესის განვითარების ხელშესაწყობად, მოსწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორის მ/შ-ს

განცხადებით, მოსწავლეებს აქვთ მუდმივი მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებულები არიან მობილობის უფლების შეზღუდვის შესახებ, გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის დანიშვნის და სტატუსის შეჩერების, შინ სწავლების უფლების შესაძლებლობის შესახებ და ა.შ. ეს ინფორმაცია მშობლებისთვის განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა შეიმუშავებს ადმინისტრაციული მხარდაჭერის მეთოდებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გზით. მაგალითისთვის გამოდგება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება სპეციალური ელ. პროგრამის საშუალებით, რომელიც შეიმუშავა სკოლის ისტ-ის მასწავლებელმა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო კლუბებში და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, ბავშვები კლასის დამრიგებლებისა და მასწავლებლების თანამონაწილეობით, დიდი სიამოვნებით ახორციელებენ სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებებს. ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, ქვეყნდება სკოლის ფბ გვერდზე. წინა წლებში განხორციელდა სხვადასხვ სასკოლო პროექტები „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა'', „შეჩერდი ადამიანო" „ჯანსაღი კვება - ხანგრძლივი სიცოცხლე" და სხვ. სკოლამ მონაწილეობა მიიღო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებში და კვირეულებში: „ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი", „არა ძალადობას-ძალა უფლებას". სკოლის დირექციის განცხადებით, მუდმივად ხდება ღონისძიებებში და სასკოლო აქტივობებში ჩართული მოსწავლეების წახალისება დიპლომებით, სიგელებით და პატარა სამახსოვრო საჩუქრებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, მუდმივად აძლევენ სასკოლო საზოგადოებას საშუალებას, დააფიქსირონ საკუთარი აზრი და სურვილი. მათი სურვილების გათვალისწინებით ხდება სხვადასხვა სასკოლო აქტივობის დაგეგმვა. სკოლაში არის კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემო, ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია მოსწავლეთა თვითმმართველობის წინაშე, მასწავლებისა და დირექციის წინაშე. სკოლაში მოქმედი მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის წევრებიც თავისუფლად ხვდებიან დირექციის წევრებს და თანამშრომლობენ საჭირო საკითხებზე. ვიზიტის დროს ვნახეთ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების დასადგენად ელ. გამოკითხვის მეთოდით ინფორმაციის მოძიების პროგრამა, რომლის გამოყენებას სკოლა გეგმავს პირველ რიგში მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში. პროგრამა ჩაშენებულია კლასის სადამრიგებლო გეგმებში და მოქნილია ნებისმიერი გამოკითხვის ჩასატარებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სადამრიგებლო პროგრამები;**
- **სასკოლო პროექტები;**
- **ინტერვიუს შედეგები.**
- **სხვადასხვა აქტივობების ამსახველი მასალა;**

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების თვალსაზრისით აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოებრივ კოლეჯებთან „იკაროსი“ და „მერმისი“. მათთან დადებული მემორანდუმის ფარგლებში სკოლის IX კლასის მოსწავლეებისათვის გახორციელდა პროგრამა „კომპიუტერული ტექნოლოგიები“. XI და XII კლასის მოსწავლეებთან გასაუბრებაზე სკოლაში საინფორმაციო შეხვედრებს ახორციელებენ სახვადასხვა უმაღლესი სასწავლებლები: ივ, ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი; ევროპის უნივერსიტეტი; გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი; საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი; ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი. სკოლას სტუმრობდა თავდაცვის სამინისტროს, შინაგანსაქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. ვიზიტი განხორციელდა მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით. ეწყობა შეხვედრები სკოლის ალუმნის წარმომადგენლებთან, რომლებიც მოსწავლეებთ თავის პროფესიაზე აწვდიან ინფორმაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს, მუდმივად მიეწოდებათ განახლებული და სანდო ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მაგალითად, სკოლის დირექტორი ხვდება მე-9 და მე-12 კლასების მოსწავლეებს, მშობლებს და აწვდის ინფორმაციას შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. აწვდის ინფორმაციას ვებ-გვერდის (https://vet.ge/ge) შესახებ, სადაც შეუძლიათ მოიპოვონ ინფორმაცია პროფესიული სასწავლებლებისა და მათ მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ. ასევე აწვდის ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ცენტრის ვებ-გვერდის

(https://naec.ge/#/ge/index) შესახებ, უგზავნის ცენტრის მიერ ორგანიზებული ონლაინ შეხვედრების შესახებ ინფორმაციას და ლინკებს, სადაც მოსწავლესაც და მშობელსაც ეძლევა საშუალება პირადად დასვან კითხვები მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში, სკოლა ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლის მიერ შეთავაზებული კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრები დადებით შეფასებას იმსახურებს მოსწავლეებისა და მათი მშობლების მხრიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;**
- **კოლეჯთან „მერმისი“ დადებული მემორანდუმი;**

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების 2023-2024 სასწ. წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა აქტივობას. მასში შედის როგორც ორგანიზაციული საკითხები (მუშა ჯგუფების შექმნა, ისგ ჯგუფების სხდომების ორგანიზება, მეთოდური დახმარების გაწევა და ა.შ) ასევე სხვადასხვა ღონისძიება და აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლის ადაპტირებას სასკოლო სივრცეში და ინდივიდუალური გეგმის მიზნების მიღწევას. მიმდინარე სასწავლო წელს ირიცხება 24 სსსმ

მოსწავლე და ყველა მათგანი სარგებლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, რომელიც მიმდინარე სასწავლო წლიდან ელექტრონულად იწარმოება. სპეციალური პედაგოგების განცხადებით, ისინი აქტიურად მუშაობს სსსმ მოსწავლეებთან მათი აკადემიური უნარების განვითარებაზე, ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ქცევის კორექციაზე, როგორც საკლასო სივრცეში, ასევე რესურსოთახში. სსსმ მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები. ასევე, სსსმ მოსწავლეების ქცევის კორექციის და თანაკლასელებთან სოციალიზაციის მიზნით, არაფორმალურ გარემოში მიმდინარეობდა შეხვედრები, სადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სპეციალისტებიც. სკოლაში შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის რეკომენდაციების საფუძველზეც ხდება რესუროთახის სასწავლო რესურსით შევსება და მომსახურების გაუმჯობესება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის სსსმ მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო აქტივობებში, როგორიცაა: ექსკურსიები, სკოლის ეზოსა და სკოლის თავისუფალ სივრცეში განთავსებული ორანჟერეას მოვლა, სპორტული ღონისძიებები. სპეც. პედაგოგის თქმით, ამან ხელი შუწყო ბავშვებში განსხვავებულის მიმღებლობის ამაღლებას და ყველა ბავშვის ადაპტირებას სასკოლო სოციუმში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;**
- **ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის მექანიზმი;**
- **რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით;**
- **სპეციალურ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებები;**
- **ინტერვიუს შედეგები;**
- **ვიზუალური დათვალიერება.**

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არა აქვს იჯარით გაცემული ფართი. არ ფუნქციონირებს კვების ბლოკი. დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების სახით, სკოლა, ახორციელებს გახანგრძლივებულ სწავლებას და ფასიანი წრეებს კალათბურთი, ჭადრაკი და ხატვაში. წრეების პროგრამები, ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები ასახულია შესაბამისი პროცედურით დამტკიცებულ 2023-20234 სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურების გაწევა ხდება ნებაყოფლობითობის პრინციპით. ფასიანი წრეები იქმნება მშობლის პირადი განცხადების საფუძველზე და ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება. სკოლის დირექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს დამატებითი მომსახურების შესახებ, ამ მომსახურებით მოსარგებლე მოსწავლეებისა და ამ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. მომსახურება ხორციელდება სკოლაში არსებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება საგაკვეთილო პროცესის შემდეგ, სასწავლო პროცესისაგან თავისუფალ დროს. არსებული მომსახურებით სარგებლობენ მხოლოდ ამ სკოლის მოსწავლეები. მეცადინეობის პერიოდში მოსწავლეებზე პასუხისმგებელია წრის პედაგოგი, რომელიც ამავე სკოლაში არ ახორციელებს ესგ-თი გათვალისწინებულ სავალდებულო საგნების სწავლებას. წრის პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც გაწერილია შესაბამისი ფუნქციები. მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი, რომელიც ინფორმირებულია ფასიან წრეში მონაწილე მოსწავლეების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **მშობლის განცხადება;**
- **ხელშეკრულება მშობელთან;**
- **სკოლის სასწავლო გეგმა;**
- **წრეების პროგრამა;**
- **ხელშეკრულება წრის მასწავლებელთან;**
- **დირექტორის ბრძანება;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამებ

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის როგორც კლასების, ისე მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, დიფერენცირებულ მიდგომებს. გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ დირექტორი, საგნობრივი კათედრების მასწავლებლები. მუშაობის პროცესში გათვალისწინებული იქნა მოსწავლეებისა და მათი მშობლების სურვილები. სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია გასული წლის შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემები. სხვადასხვა კათედრის მიერ წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში ნათლად აისახა აღნიშნული მეთოდოლიგია, ასევე მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს რომ, მომავალში მჭიდრო ურთიერთკავშირი ექნებათ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლთან. გამოკითხვით, ინტერვიუს და ყოველდღიური კომუნიკაციის საშუალებით გამოიკვლევენ მოსწავლეთა, მშობელთა და თემის ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს. სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების, საგანთა შორის ინტეგრაციის, სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომების გათვალისწინების, რაც სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლები მათ მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე აანალიზებენ, თუ რა მნიშვნელოვანი ცვლილებების დაგეგმვაა საჭირო, სასწავლო პროგრამა რომ სრულფასოვანი და ეფექტიანი იყოს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემატურად მუშაობენ კურიკულუმში შესატან

ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. კურიკულუმზე მუშობის პროცესში ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრებმა საგნობრივად გამოკვეთეს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს კურიკულუმებში სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები. კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგთა მხრიდან წარმოდგენილია ინდივიდუალური ხედვა, რაც იკითხება წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში და კომპლექსური დავალებებში. მასში განსაზღვრულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. შესაბამისად, გამოვლენილია მოსწავლეთა საჭიროებები და წინარე ცოდნა, რის გამოც მისი შემდგომი დახვეწის საჭიროებას ხედავს სკოლა. არაფორმალური განათლების კომპონენტში კი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ამოიცნობა კათედრაზე განხორციელებულ პროექტებში. დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ძლიერ მხარედ მიგვაჩნია ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება და მათი ნაყოფიერი ჩართულობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარდგენილ კურიკულუმის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები. კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, თუ რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს. სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები. შესაბამისად, პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. ინდიკატორს ადასტურებს, როგორც საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებული ჩარჩოები, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და როლი შემუშავების პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას აქტიურად აქვს მონაწილეობა მიღებული პროექტში „აღადგინე ნარჩენი, მოგებული დარჩები“ სადაც სამივე საფეხურის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ დიდი ხალისით იყვნენ ჩართულები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებიც. ასევე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სასკოლო კვირეულის ფარგლებში ,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი''. პროექტებსა და კვირეულებში სასკოლაო საზოგადოების ყველა რგოლი აქტიურად იყო ჩართული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმა და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებულია არამარტო საგნის, კათედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. მაგ. საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. სასკოლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვა აქტივობების განხორციელების გეგმა განთავსებულია თვალსაჩინოდ სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე/საკლასო ოთახებში/სკოლის ფეისბუკ გვერდზე/teams-სა და მესენჯერ ჯგუფებში. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს სურვილის შემთხვევაში, მშობლის მიერ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის კურიკულუმის მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება და აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობლებთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითსეფასების ფორმა
- ✓ სასკოლო კურიკულუმი (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო)
- ✓ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება);
- ✓ სოციალური გვერდიhttps://www.facebook.com/profile.php?id=100057669811151
- ✓ სსიპ ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ _ინტერვიუ
- ✓ მშობელთა კრების ოქმი
- ✓ კათედრის ოქმი

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია:
საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) სასკოლო კურიკულუმები და აქვთ მზაობა შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო. საზოგადოებრივი მეცნიერების (მე და საზოგადოება, ჩვენის საქართველო) საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ყველა სავალდებულო თემა, სადაც საკითხები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. მოცემული საგნების კურიკულუმში წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება კომპლექსური დავალების იდეებით, კონტექსტ-მაგალითებით, რესურსებით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმშიი გაწერილი როგორც კომპლექსური დავალებები, ასევე საკითხები/საკითხთა კლასტერები, რომელთა შესწავლის დროს ორიენტირება ხდება გრძელვადინი მიზნებისკენ და ქვეცნებებისკენ. მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე, შესაბამისად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. დაწყებითი კლასების კომპიუტერული ტექნოლოგიების ჩარჩო ცხრილებში სწორადაა შევსებული როგორც სავალდებულო ველები: ასევე არასავალდებულო ველები. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა საგანში გეგმავს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში უწყვეტად ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებებით სწავლება. დაწყებით საფეხურზე (ქართული I-IV კლასი) წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში უკვე დაწყებულია კურიკულუმის ჩარჩოს ყველა ველის შევსება, შერჩეული აქვთ კომპლექსური დავალებები. პირველ და მეორე კლასში დაიწყეს მუშაობა ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოებით, კათედრას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების გამოცდილება. სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ტექნოლოგიებს. სსსმ მოსწავლეებისათვის მათი საჭიროებების გათვალისწინებით, შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კურიკულუმის ჩარჩოებში, კომპლექსური ტიპის დავალებებში პირობა იმგვარად არის ფორმულირებული, რომ ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ სავალდებულო თემების შესწავლას, არამედ ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებასაც. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებები („My favourit pet", „ილუსტრირებული

პერსონაჟის ერთი დღე", ,,My favourite Country") ორიენტირებულია ისეთი უნარების განვითარებაზე როგორიცაა შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, ურთიერთთანამშრომლობა, კრიტიკული აზროვნება.

მათემატიკის კათედრაზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების(მაგ. "ვირტუალური ფერმა" პირველი კლასი, „დავეხმაროთ წითელქუდას" მეორე კლასი, „რიცხვები ყოფაცხოვრებაში", „გაყოდვების მენეჯერი" მესამე კლასი, ,, საოცნებო გასართობი პარკის დაგეგმარება" მეოთხე კლასი „შოკოლადის ორცხობილის დამზადება" მეექვსე კლასი) პირობებიდან ჩანს, რომ მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე,იმ სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსია რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შრესურსს.

საბუნებისმეტყველო კათედრა დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით ხშირად იყენებენ პორტალს http://kargiskola.ge/, **რაც** იძლევა საშუალებას ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შესაბამისი მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვის. ასევე, სასწავლო რესურსად გამოიყენებენ თავად მოსწავლეების მიერ შექმნილ **რესურსებს**. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული intel - ის პროექტში, რომლის ფარგლებშიც პროგრამა scratch - ის გამოყენებით მათ შექმნეს რესურსი წყლის ციკლისა და მისი ეტაპების შესახებ: https://scratch.mit.edu/projects/840943702?fbclid=IwAR2UTbHFY6XywAscIJ_x9sAVPOOmqNdfGtg9o6Ct0YKih-CS1-s6W2D3WMg https://scratch.mit.edu/projects/840971118?fbclid=IwAR3MfNNQ3xxo5Ur0QKQufTo8z-c8W4RgQzjOUGi84LtLbIRvs1P4JXJjcoM . ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, სასწავლო წლის განმავლობაში საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ საგნობრივი კურიკულუმების მოდიფიცირება, შეიტანონ გარკვეული ცვლილებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას, მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებს და შედეგებს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რამდენიმე კურიკულუმში სტანდართან მიმართებები დარღვეული იყო (მაგ. თემატური ბლოკის ფარგლებში არ მუშავდებოდა ყველა სამიზნე ცნება, ზოგიერთ შემთხვევაში საკითხი/კონტექსტ-მაგალითი არ შეესაბამებოდა თემას/დავალების იდეას), ინტერვიუს პროცესში გაირკვა რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. კათედრამ გადმოაგზავნა ახალი კურიკულუმები, რომელიც შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რონ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინებით, სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები. სკოლა ცდილობს დიფერენცირებული სწავლა-სწავლების უზრუნველყოფისათვის დანერგოს მოქნილი სასწავლო გარემო, იყოს ორიენტირებული მოსწავლის პროგრესზე, ხელი შეუწყოს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას, შექმნას ისეთი დავალებები რომელსაც ექნება კომპლექსური ბუნება. სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეთა ჩართულობა, ინდივიდუალური გეგმის შედგენა და განხორციელება, მოსწავლეზე ორიენტირებული და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ეფექტიანი სწავლება და შეფასება. კურიკულუმები განიცდის

ცვლილებებს, წარმოქმნილი საჭიროებების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლეებისთვის გაკვეთილების მომზადება ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, მიზნების შესაბამისად, თუმცა არსებული საჭიროებიდან გამომდინარე ხდება მიმდინარე გაკვეთილების ადაპტირებაც. კომპლექსური დავალებების შესრულებისას, სსსმ მოსწავლესთვის იქმნება დავალების ადაპტირებული პირობა მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სკოლის თითოეული მოსწავლის, მათ შორის სსსმ მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვა სასწავლო პროცესში. მაქსიმალური ჩართულობისთვის სასწავლო პროცესში პედაგოგი იყენებს დიფერენცირების სხვადასხვა მიდგომებს, რაც საშუალებას აძლევს, ჩართოს ყველა მოსწავლე სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება, როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებზე. კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს დაწყებით საფეხურზე კონკრეტული თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის. მასწავლებლებმა ისაუბრეს კონკრეტულ მაგალითებზე ,სადაც თავად მოსწავლეც აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ნამუშევრებს/ცოდნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ ანალიზი ხდება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების, შემაჯამებლების ანალიზებისა და ნამუშევრების გაანალიზების შედეგად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კურიკულუმებში შეიტანეს ის კომპლექსურ დავალებები, რომელიც 2022-2023 სასწავლო წელს წარმატებით განახორციელეს და შეძლეს მოსწავლეთა დაინტერესება, ხოლო შეცვალეს და მოდიფიცირება მოახდინეს იმ კომპლექსურ დავალებების რომლის განხორციელებიას მოსწვლეთა ჩართულობა დაბალი იყო. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ რომ, დაწყებითი საფეხურზე დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველოს) პედაგოგებს აქვთ მზაობა კომპლექსური დავალების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილების ანალიზი. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და კონსტრუქციული უკუკავშირის შემდეგ გეგმავენ შემდეგ აქტივობებს. პედაგოგებთან

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ ქოუჩების მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, ესწრებიან სავალდებულო ტრენინგებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, რის შემდეგაც აახლებენ კომპლექსურ დავალებებს და განსახორციელებელ აქტივობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო
- ✓ ბრძანება შიდა მონიტორინგის ჯუფის შექმნის შესახებ.
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
- ✓ ინტერვიუ მასწავლებლებთან

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, სპორტი და სხვა) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგემილი აქვს სხვადასხვა სასკოლო აქტივოებების ამსახველი დოკუმეტაცია (მაგ. კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი კლუბი.მოსწავლეთა ნამუშევრები,სააღდგომო, საშემოდგომო გამოფენა, მუსიკალური ღონისძიება „შემოდგომის ფერები“, სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები) სადაც ჩანს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებში, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში, რაც ნათლად ადასტურების მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი.სკოლაში შექმნილი გარემო უზრუნველყოფს მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესში იქნება ჩართული. გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან იმ ფაქტს, რომ სწავლა-სწავლება კონსტრუქტივისტულად, მოსწავლისათვის საინტერესოდ, მისივე აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს. მთავარი აქცენტი კეთდება თამაშით და კეთებით სწავლაზე. მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისთვის მასწავლებლები ადგენენ კომპლექსური ტიპის ისეთ დავალებებს, რომლის შესასრულებლად საჭიროა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენება და შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტის სახით წარმოდგენა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება. ამ პროცესს ხელს უწყობს მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობები და შეფასების მექანიზმებში, როგორიცაა თანატოლთა შეფასება, თვითშეფასების რუბრიკები. მაგ. საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) პედაგოგები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, მათ დახვეწას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ამისათვის თვლიან რომ გაამრავალფეროვნონ ისეთი აქტივობები რომლებიც კოგნიტური, თვითმართვადი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპიუტერული ტექნოლოგიის სწავლა–სწავლების მიზნები კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, რაც ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. სწავლის სწავლა, ერთი მხრივ, კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვებით, მეორე მხრივ, გასიტყვებისას რეფლექსიის სახით ამოიკითხება. სტრატეგიების სწავლა კეთებით, მოდელირება, გრაფიკული სისტემები, პროექტული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თითოეული ეს აქტივობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ასწავლონ, თუ როგორ შეიმეცნონ ესა თუ ის საგანი. მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ, რომ ორგანიზება გაუკეთოთ თვითსწავლის, ურთიერთსწავლის სხვადასხვა ფორმებს და მეთოდების გაცნობას– შემუშავებას, შექმნან ამ რესურსების ბანკი. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას მკაფიოდ გამოიკვეთა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის ახლად შემუშავებული კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მე- 6 კლასში კომპლექსური დავალების „ შოკოლადის ორცხობილა“ განხორციელებისას მოსწავლეები იწაფებიან წილადებზე მოქმედებების შესრულებაში. დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს უწევთ გამოთვალონ რა იქნება თითოეული ინგრედიენტის კალორიების წილი მთლიან კალორიულობასთან შედარებით, როგორ გვეხმარება არითმეტიკული მოქმედებათა თვისებების ცოდნა ორცხობილის დამზადებისას. მოსწავლეები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ორცხობილას და ზოგადად საკვების დამზადებისას რიცხვების და წილადების ცოდნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლა ცდილობს სასწავლო პროცესში შეიტანოს ისეთი ელემენტები, რაც ხელს შეუწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, მისი საშუალებით ხდება ცოდნის განზოგადება და ტრანსფერი. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, კომპლექსური დავალების შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში კარგად მიმდინარეობს მოსწავლის გონებაში ცნებათა ბმულების ჩამოყალიბება, რომელიც მას სხვადასხვა მიმართულებით შეძენილი ცოდნის

გამთლიანებაში დაეხმარება; სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი გრაფა "მაგალითი შედარებისთვის" იძლევა ცოდნის განზოგადების და ტრანსფერის საშუალებას, ამავე დროს პროცესს უფრო საინტერესოს და შემოქმედებითს ხდის.
დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კათედრა აქტიურად გეგმავს და ახორციელებს არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვანს აქტივობებს (მაგ. კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი კლუბი. მოსწავლეთა ნამუშევრები,სააღდგომო, საშემოდგომო გამოფენა, მუსიკალური ღონისძიება „შემოდგომის ფერები") წარმოდგემილი დოკუმეტაციიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში კათედრა ზრუნავს მოსწავლეებში სხვადასხვა საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ეს მსჯელობა მასწავლებლებმა უფრო გაამყარეს ინტერვიუს პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ დაწყებითი კლასების კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ხელოვნება,მუსიკა,ქართული ,მათემატიკა და სხვა)
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ სოციალური გვერდიhttps://www.facebook.com/profile.php?id=100057669811151
- ✓ დანართი N64 სასკოლო პროექტი
- ✓ დანართი N71 კათედრის მუშაობის ანგარიში
- ✓ სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-2024
- ✓ მუსიკასა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში აუდიო/ფოტო მასალა
- ✓ კომპლექსური დავალების ბარათები
- ✓ მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- ✓ მშობლებთან თანამშრომლობის ამსახველ ანგარიშებში.
- ✓ ინტერვიუ

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი თემები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე. სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები აღიწერება დაწყებითი საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგებით. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლას დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი მიზნები. აღნიშნულ საგნებში არმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება, რომლებიც რამდენიმე სამიზნე ცნებაზე გადის. სასურველი იქნება მომავალში ყველა სავალდებულო თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს. იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეა არის განსაზღვრული, კარგად ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, ასევე განსაზღვრულია ქვეცნებებიც. ინტერვიუს შედეგად დადგინდა რომ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების, შეფასების კრიტერიუმების მჭიდრო კორელაციით არის შესაძლებელი, ამიტომ მიმდინარე სასწავლო წელს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და შეფასების კრიტერიუმების ურთიერთკავშირზე გააკეთებენ აქცენტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასების დოკუმენტში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარების ხელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას და საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირებსა.დაწყებითი საფეხურის საგნობრივ მაგ. მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ძირითადი ორიენტირები, თემები და კომპლექური დავალებების იდეები გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები უმეტესად მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ორივე საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე

დამოკიდებულებებზე მსჯელობა, ხელოვნებაში შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა, განწყობის გადმოცემა. მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული აქვთ ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვანი აქტივოებები (მაგ. კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი კლუბი. მოსწავლეთა ნამუშევრები, სააღდგომო, საშემოდგომო გამოფენა, მუსიკალური ღონისძიება „შემოდგომის ფერები“), რაც თავისთავად ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვთარებას. იგივე ჩანს მაგ.ფიზიკური აღზრდის კურილულემებში, სადაც გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, ასახავს სხვადასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები,ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. დაწყებითი საფეხურის კათედრა, მოსწავლეების აკადემიური უნარების შესაფასებლად, საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით ქმნის შეფასების რუბრიკებს. დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების წინაპირობაა, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლის თვითშეფასებაში წერია: „ჰოლისტური, მზრუნველი, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ჩვენი სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მოსწავლეთა შეფასება რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზზეა დამყარებული. ამ მიმართულებით ხდება ისეთი რეკომენდაციების გაცემა, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება: მარტივი კავშირების დამყარებასა და ინფორმაციის სრულფასოვნად აღქმაში, არსის მთლიანობის გააზრებაში, საგნის ადეკვატურ გაგებასა და გააზრებაში, განზოგადების უნარის ჩამოყალიბებაში, ჰიპოთეზების ჩამოყალიბებასა და მის შექმნაში. ამ პროცესების განხორციელებისას მოსწავლე გადის ცოდნის სამივე კატეგორიას (დეკლარატიული, ფუნქციურსა და პირობისეულს).
მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს. სკოლა იყენებს დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში განმავითარებელი შეფასებას, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასებას. მოსწავლეები ფასდებიან კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებით და მათთვის ნაცნობია შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში განაცხადეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი ურთერთშეფასებასა და

თვიშეფასებაში. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. დაწყებით კათედრაზე, მომდევნო სასწავლო წლისთვის, შერჩეულია დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე შეფასდება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც დებულებით განსაზღვრული პერიოდულობით აკვირდება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებას. მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სკოლის პედაგოგებზე მხარდამჭერი დაკვირვების შედეგები. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი გაკვეთილზე მიღწეული შედეგები და გასავითარებელი მიმართულება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება, თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში იგეგმება მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება. სკოლის პედაგოგებს აქვს შეფასების სისტემის განვითარების სწორი ხედვა. სკოლა აღნიშნავს, რომ დაწყებით კლასებში, მათ შორის კომპიუტერული ტექნოლოგიის მიმართულებით, შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად მიესადაგება მოსწავლეთა საჭიროებს. გამოიყენებენ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს, შეიმუშავებენ წლის ბოლო შეფასებების აღრიცხვის და მშობელთა ინფორმირებისთვის მარტივ მაორგანიზებლებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას აქვს მოსწავლეთა შეფასების არქივი, პირადი საქმეების სახით. სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოების და მათ შენახვასთან დაკავშირებულ ყველა რაგულაციას. სკოლის მიერ დადგენილია შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოებისა და პროექტების შენახვის წესს და ფორმას, რომელიც არის როგორც ელექტრონული, ასვე მატერიალური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო)
- ✓ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ დანართი N11. ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი

- ✓ დანართი N24. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- ✓ N100-სტრატეგიული-განვითარების-გეგმა-2023-2030
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- ✓ N100-სკოლა.-ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა
- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ✓ მუსიკასა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში აუდიო/ფოტო მასალა
- ✓ ინტერვიუ

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმეტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე მხარდამჭერით და მიმღებლობით გარემოს უზრუნვალსაყოფად შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. მოსწავლე მასწავლებლისგან მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას. ყველა მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ ეშინია შეცდომების დაშვების, როცა რაიმეს ვერ გაიგებს, მასწავლებელი სხვაგვარად უხსნის, გაკვეთილები ხალისიანი აქტივობებით არის დატვირთული, გაკვეთილზე გამოყენებულია ტექნოლოგიები, მოსწავლეს ყოვეთვის აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მასწავლებელი მუდმივად აძლევს პოზტიურ უკუკავშირს. მზრუნველია და ყოველთვის მზად არის მოსწავლის დასახმარებლად. ბავშვები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, პატივს სცემენ ერთმანეთის. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს, პრობლემაზე ორიენტირებულ შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციის მექანიზმი, რომლის მიხედვით სასკოლო საზოგადოება ვალდებულია განახორციელოს ისეთი აქტივობები, რაც მოსწავლეს სრულფასოანი მოქალაქედ ჩამოყალიბებაში მოეხმარება. ამისათვის პედაგოგები

ითვალისწინებენ მოსწავლეების ინდივიდუალიზმს, ოჯახურ და სოციალურ მდგომარეობას, მოსწავლის ფსოქოტიპს და ემოციურ მდგომარეობას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის თვითშეფასების კერძოდ, ახორციელებენ სხვადასხვა სასწავლო და კლასგარეშე ღონისძიებებს, ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, შეფასებისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რათა დაინახონ თითოეული მოსწავლის პროგრესი. მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განვითარების დანახვის შესაძლებლობას, ზრუნვასა და მხარდაჭერაზეა აგებული, ეს კი დადებითად აისახება მოსწავლის თვითრეალიზებაზე. სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც დებულების შესაბასად ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს და აძლევს მასწავლებელს შესაბამის უკუკავშირს. პედაგოგები ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ გაკვეთილს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, გეგმავენ ერთობლივ აქტივობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. გამოიკვეთა, რომ სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას, რაც გამოიხატა კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმებით. იგი გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. აღნიშნული კი დასტურდება კათედრის მუშაობის ოქმებში. სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. ასევე მოსწავლეთა მიმართ თანამშრომლობისას სხვადასხვა აქტივობათა განხორციელება (მაგ, ინფორმაციის მოკვლევა, კლასის საათის პერიოდში თამაშები, როლური თამაშები. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი, ექსკურსიები და სხვა) ამ ინდიკატორის დაძლევის დადასტურებაა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. დაწყებით საფეხურზე არსებობს პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატი, რომელიც გამოხატვის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს/მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა გადაიჭრება თანამშრომლობითი გზით. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის უფლება, რა ფორმით ჩაერთვებიან სასკოლო თუ სასწავლო პროექტებში, აქტივობებსა და საწრეო მუშაობაში. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი, მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს მშობელტა აქტიურ ჩართულობას (მშობლეთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები). ამასთან, მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება

მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ✓ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- ✓ დანართი N71 კათედრის მუშაობის ანგარიში
- ✓ დანართი N60 კათედრის-ოქმი-პირველი-სემესტრის-შეჯამება-2022
- ✓ დანართი N27 მშობელთა კრებების ოქმები
- ✓ დანართი N59. ადაპტაციის მექანიზმი
- ✓ ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ „ სასწავლო წლის დაწყებისთანავე დირექტორის მოადგილე შეიმუშავებს საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგის წლიურ სამოქმედო გეგმას. მონიტორინგის მექანიზმებია: სკოლაში არსებული ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ანგარიშგება; მასწავლებელთა და კათედრათა ანგარიშგება სემესტრისა და სასწავლო წლის დასასრულს; მოსწავლეთა თვითშეფასება; მასწავლებლების თვითანალიზი; კათედრებისა და ადმინისტრაციის თვითანალიზი; **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლაში არსებული თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეფექტიან განხორციელებას. სასკოლო საზოგადოება იზიარებს, რომ მონიტორინგი და შეფასება არის აუცილებლობა და საუკეთესო საშუალება პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები დაეხმარება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და გაძლიერებას. 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კათედრის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების აქტივობები, რაც წინაპირობას შექმნის მოსწავლის და მასწავლებლის მუშაობის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება კიდეც, რომ მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ მონიტორინგი და შეფასება აუცილებელი და საჭირო პროცესია, რის შედეგადაც ვლინდება როგორც ძლიერი ასევე სუსტი მხარეები და სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენოს ის პროცესებისა და შედეგების გაუმჯობესებისათვის და შეფასება გამოიყენონ როგორც პრობლემის გადაჭრის გზა.სკოლის მიერ განხორციელული სასწვლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის საჭირო ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლას აქვს გამოცდილება, როდესაც მასწავლებლის მხრიდან ვერ ხერხდებოდა ეფექტური უკუკავშირის მიწოდება მოსწავლეებისთვის, განხორცილდა ფოკუსირებული დაკვირვება, შეფასების ჯგუფის მიერ შემუშავდა რეკომენდაცია, მოხდა ურთიერთდასწრება, სხვა მასწავლებლის გამოცდილების გაზიარება და იმავე მასწავლებლის გაკვეთილზე შედგა მეორადი დაკვირვება, სადაც დაინახა პრობლემის ეფექტური გადაჭრის გზა. სკოლა გეგმავს Ms Forms–ის გამოყენებას დიაგნოსტირებისათვის, ასევე განსაზღვრული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების მოდელი კათედრის დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითებასების ფორმა
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ N100-სკოლა.-ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა
- ✓ დანართი N10 შიდა მონიტორინგი
- ✓ დანართი N24. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ✓ დანართი N11. ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წწ

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მოსწავლეების შეფასება ხდება: საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას აქცენტი კეთდება განმავითარებელ შეფასებაზე. ესგ-დან გამომდინარე პედაგოგები ითვალისწინებენ ოსწავლეების სააზროვნო უნარებს, განვითარების დონეს და მათ ინტერესს. შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ნიშნები იწერება ელ. ჟურნალში, ასევე შესაძლებელი განმავითარებელი კომენტარის გაკეთება, რომელზეც წვდომაც აქვს მშობელს. მოსწავლის პრობლემის, მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ ინფორმაციის შეგროვება დაიგეგმება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით: მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, თითოეული საგნის პედაგოგთან, დამრიგებელთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამ ეტაპზე მათ შექმნილი აქვთ სანიმუშოდ განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა მიმდინარე კურიკულუმი მოიაზრებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარებაზე დაკვირვებასა და შეფასებას. ამისათვის იგი ითვალსიწინებს მრავალ კონტექტს_ როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. მაგალითად, განხორციელებული აქტივობების შეფასება. სსსმ მოსწავლეთა ისგ-ს მიხედვით შეფასება. 2023–2024 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად გეგმავს შეფასების რუბრიკების მისადაგებას სწავლების აღნიშნულ მეთოდთან. სკოლის შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდაში და სპორტში საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, რომლის ამოცანა იქნება უზრუნველყოს შეფასება მრავალი კონტექსტის გამოყენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის დაწყებითი კათედრა, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა მოსწავლეზე დაკვირვება, დღიურის წარმოება, მოკლე ჩანაწერების გაკეთება, კომენტარი და სხვა. რომელთა მიხედვითაც შეძლებენ დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად, 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლის მიერ არჩეული შეფასების პირველი მოდელი. საგაკვეთილო პროცესში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია და სხვა. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. წარმოდგენილი მასალებიდან ,მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლისთვის შედგენილია შეფასების გამარტივებული ვარიანტი, რაც გულისხმობს, რომ სამიზნე ცნებები იგივე რჩება, მაგრამ მარტივდება, მცირდება მკვიდრი წარმოდგენები საკითხები და ქვეცნებები, ასევე პროდუქტის წარდგენის სახე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ✓ დანართი N24. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ✓ დანართი N71 კათედრის მუშაობის ანგარიში
- ✓ დანართი N60 კათედრის-ოქმი-პირველი-სემესტრის-შეჯამება-2022
- ✓ სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-2024-წ-N100-საჯარო-სკოლა-ახალი
- ✓ დანართი N10 შიდა მონიტორინგი
- ✓ N100-სკოლა.-ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა
- ✓ ინტერვიუ მასწავლებლებთან.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიაზრებს კურიკულუმის რევიზიის შედეგების საფუძველზე სარეკომენდაციო პაკეტის შექმნას. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც სასწავლო პროცესის მუდმივ გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე განიხილავენ, რა გამოცდილება დაგროვდა სასწავლო წლის მანძლზე; როგორ შეიძლება ამ გამოცდილება გამოყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის; რა უნდა გაითვალისწინონ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შედგენისას ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე. მიმდინარეობს კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, და გათვალისწინებული იქნება წინა სასწავლო წლის ანალიზი, გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, რასაც წინარე გამოცდილებისას მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. სამომავლოდ ამ კუთხით აპირებს დაგეგმოს კონკრეტული მონიტორინგის გეგმა (პაკეტი), რომლის ფარგლებში გაეცნობიან ზედა კლასების მასწავლებელთა გამოცდილებებს, გავლილ კურიკულუმებს, გააანალიზებენ შედეგებს და ანალიზისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე, შექმნიან გადამუშავებულ ვერსიას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ დანართი N24. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ✓ ათედრის ოქმები
- ✓ სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- ✓ ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად: სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და მიმართულია თანამშრომლობის გზით მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, შემოქმედებითი უნარების განვითარებისაკენ. სასკოლო გეგმა ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მიმდინარეობდა სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ დირექტორი, მოადგილეები, საგნობრივი კათედრების მასწავლებლები. მუშაობის პროცესში გათვალისწინებული იქნა მოსწავლეებისა და მათი მშობლების სურვილები. სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია გასული წლის შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემები. კათედრის მიერ წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში ნათლად აისახა აღნიშნული მეთოდოლიგია, ასევე მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს რომ, მომავალში მჭიდრო ურთიერთკავშირი ექნებათ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლთან. გამოკითხვით, ინტერვიუს და ყოველდღიური კომუნიკაციის საშუალებით გამოიკვლევენ მოსწავლეთა, მშობელთა და თემის ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლები მათ მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე აანალიზებენ, თუ რა მნიშვნელოვანი ცვლილებების დაგეგმვაა საჭირო, სასწავლო პროგრამა რომ სრულფასოვანი და ეფექტიანი იყოს. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები . სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემატურად მუშაობენ

კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. კურიკულუმზე მუშობის პროცესში ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრებმა საგნობრივად გამოკვეთეს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს კურიკულუმებში სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სტატუსის მასიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ სკოლის მიერ თანამშრომლობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა კურიკულუმი არის კონკრეტულად ამ სკოლის მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებული დოკუმენტი, რომელიც ფორმალური და არაფორმალური კომპონენტების გამოყენებით თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს ეროვნული კურიკულუმის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ გამოცდილებას. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები გეგმავენ კურიკულუმის შეუშვების პროცესში უფრო მეტად ჩართოს მოსწავლეები და მშობლები მათი კომპეტენციებისა და ინტერესების შესაბამისად. სასკოლო საზოგადოების აქტიურად ჩართვის ერთ-ერთი გზა არაფორმალური განათლებაა. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას აქტიურად აქვს მონაწილეობა მიღებული პროექტში „კულტურული მემკვიდრეობა, „კომიქსების გამოფენა სადაც სამივე საფეხურის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ დიდი ხალისით იყვნენ ჩართულები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებიც. ასევე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სასკოლო კვირეულის ფარგლებში ,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი''. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პროექტებსა და კვირეულებში სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი აქტიურად იყო ჩართული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება მთლიანად. სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების საბოლოო ვერსიის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს სკოლა და შესაბამისი საგნების მასწავლებლები. ამ ეტაპზე მშობლებისთვის დაგეგმილი კურიკულუმების, კომპლექსური დავალებების იდეების, რესურსების, შეფასების კრიტერიუმების გაცნობა მშობელთა კრებებზე და სოციალური ქსელების მშობელთა დახურულ ჯგუფებში იგეგმება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სამომავლოდ კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი უკუკავშირის მისაღებად გამოიყენებენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს, მაგ. ელექტრონული ფოსტა, სასკოლო საჯარო ღონისძიებები, სოციალური მედია და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითსეფასების ფორმა
- ✓ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი
- ✓ სსიპ ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ სოციალური გვერდიhttps://www.facebook.com/profile.php?id=100057669811151
- ✓ მშობლთა კრების ოქმი
- ✓ კათედრის ოქმი
- ✓ VII-IX კლასის სპორტის კურიკულუმები. ფესტივალის, სასკოლო პროექტებში ანუ შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალა.
- ✓ ინტერვიუ

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჩანს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილია მოსწავლის ასაკობრივი ინტერესების, შესაძლებლობების მიხედვით და ითვალისწინებს საფეხურის მისაღწევ შედეგებს. ცნებები ემსახურება გრძელვადიანი და შუალედური მიზნების დამუშავებას. სასწავლო კურიულუმის ჩარჩოები იმგვარადაა შედგენილი, რომ ითვალისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც მიემართება მოსწავლის სხვადასხვა უნარების განსავითარებლად. იგივე დადასტურდა ინტერვიუს დროსაც. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებებიც მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესზე მიუთითებს. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებებისა და

პროექტების კონკრეტული მაგალითები რაც ასევე დადასტურებულია გამოგზავნილი სურათების სახით, ეს ყოველივე კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო თემები. მაგ . საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში არის გაწერილი ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა სავალდებულო თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალებები, სადაც კარგად სჩანს მჭიდრო ურთიერთკავშირი სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს შორის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალების სათანადოდ განხორციელება _ თემის გააქტიურება, ნაცნობ კონტექსტზე ახალი ცოდნის აგება, დავალებაზე მუშაობის პროცესის საგანმანათლებლო პრინციპების დაცვით წარმართვა, ასევე განხორციელებული პროექტები “ კულტურული მრავალფეროვნება”, “ ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი” ხელს უწყობს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას.

მტკიცებულებებით წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რამდენიმე კურიკულუმში სტანდართან მიმართებები დარღვეული იყო (მაგ. თემატური ბლოკის ფარგლებში არ მუშავედბოდა ყველა სამიზნე ცნება, ზოგიერთ შემთხვევაში საკითხი/კონტექსტ-მაგალითი არ შეესაბამებოდა თემას/დავალების იდეას), ინტერვიუს პროცესში გაირკვა რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. კათედრამ გადმოაგზავნა ახალი კურიკულუმები, რომელიც შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალებები, ისევე როგორც სასწავლო პროექტები, ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი ნება) განვითარებას უწყობს ხელს. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. („სადეზინფექციო ხსნარის მომზადება“- VII კლასი, „განძის რუკა“ -VIII კლასი, „ ჭადრაკი და გეომეტრიული ფიგურები“- IX კლასი). სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებთან. საგაკვეთილო თუ არაფორმალური განათლების აქტივობების განხორციელების პროცესში ხდება ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობა.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებების ბართების შესწავლისა და კათედრის წევრებთან განხორციელებული ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ მრავალფეროვან რესურსს, იცნობენ და იყენებენ დიფერენცირებისთვის მეთოდებს, ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის , შინაარსის და გარემოს დიფერენცირებას. საბაზოს საფეხურის კურიკულუმი საკმარისად დატვირთულია კომპლექსური დავალებებით. კომპლექსური დავალებებით სწავლება, თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას. კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას სხვადასხვა საგანში უკვე მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ ინკლუზიური გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები. კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს საბაზო საფწეხურზე კონკრეტული თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის. მასწავლებლებმა ისაუბრეს კონკრეტულ მაგალითებზე, სადაც თავად მოსწავლეც აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ნამუშევრებს/ცოდნას. ამ მსჯელობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართულია 2019 წლიდან, ამიტომ მასწავლებლებს გააჩნიათ კურიკულუმის შექმნის გამოცდილება. წინა წლებში შექმნილმა სასწავლო გეგმებმა გაუადვილა მათ კურიკულუმის კომპონენტებში გარკვევა, თემატურ-სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთა. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებები) და კათედრების წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილება და გამოწვევები. მათემატიკის კათედრის წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ

უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციის და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება, დახვეწა და განვითარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ✓ ბრძანება შიდა მონიტორინგის ჯუფის შექმნის შესახებ
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი
- ✓ ერთწლიანი სმოქმედო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი
- ✓ სასკოლო გეგმის დანართები 2023-24წწ
- ✓ ინდ.გეგმები
- ✓ დანართი N71 კათედრის მუშაობის ანგარიში
- ✓ განმავითარებელი-შეფასების-რუბრიკა
- ✓ განმსაზღვრელი-შეფასების-რუბრიკა-თემა-სიყვარული-და-სიძლუვილი-მუსიკაში
- ✓ ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს, სავალდებულო თემების ფარგლებში, სთავაზობს მრავალფეროვან საკითხებს, კომპლექსური ბუნების დავალებები ნაცნობ კონტექტსებზე დაყრდნობით, მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში. განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას სხვადასხვა სახის შემოქმედებითი პროდუქტები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს საკითხები შეისწავლონ ყოველმხრივ და სრულფასოვნად. მასწავლებლებმა ისაუბრეს,რომ განხორციელების პროცესში შეარჩიეს ისეთი აქტივობები, რომლებმაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. მაგ: მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს მოსწონთ ,,პერსონაჟის რუკაზე" მუშაობა, კრიტიკული აზროვნების გასავითარებლდ ხშირად მიმართავენ დისკუსიას, ფაქტებსა და დეტალებზე დასაკვირვებლად კოგნიტურ სქემას-,,ფაქტი-არგუმენტი-კომენტარი", ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს ანალიტიკური და პრობლემაზე ორიენტირებული ესეების დაწერას. ასეთი ტიპის დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითობის, წარმოსახვის უნარის განვითარებას, მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს და ეხმარება დამოუკიდებელ აზროვნებასა და პიროვნულ განვითარებაში.

მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ VIII კლასის კურიკულუმში შეტანილია კომპლექსური დავალება „გასართობი პარკის დაგეგმარება", ამ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით, რაც გამოიწვევს მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს კონსტრუქტივისტული პრინციპებზე დაყრდნობით, კერზოდ, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა - სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე

დაყრდნობთ ახალი კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი არის კომპლექსური დავალებები, სამიზნე ცნებებით და ქვეცნებებით და ჩანს სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების და ქვეცნებების კორელაცია, რაც კარგად გამოხატავს ცოდნის კონსტრუირებას კომპლექსური დავალებაში, კათედრა მიზნად ისახავს კონტექსტ-მაგალითებზე და რესურსებზე მუშაობას. ფიქრობენ, რომ სწორად შერჩეული კონტექსტ-მაგალითები და რესურსები ხელს შეუწყობს ცოდნის კონსტრუირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. დოკუმენტაციიდან და პედაგოგთა გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების დაგეგმვის და განხორციელების პროცესში, მოსწავლეების მიმართ წარსადგენი კომპლექსური დავალებები იმგვარადაა აგებული, რომ შესაძლებელია სასწავლო პროცესში სწავლის სწავლა.საგაკვეთილო პროცესში იყენებენ ისეთი აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს სწავლის სტრატეგიებზე, სამოქმედო გეგმაზე, თვითშეფასებაზე, აპოვნინებს პასუხებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე.
მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან იღებს და გასცემს უკუკავშირს, იზიარებს მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობას და წარმატებას . მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის კომპლექსური დავალების პირობის მესამე ნაწილი - მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები, მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში გამოკვეთს მოსწავლისგან მისივე სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი მაგ. მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მტკიცებულებების სახით წარმოდგემილ დოკუმეტაციაში (სხვადასხვა პროექტები, ღონისძიებები, აუდიო/ვიზუალური მასალა) ნათლად იკვეთება მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც მოიცავს, როგორც დეკლარატიული, ასევე პირობისეული და პროცედურული ცოდნას,მაგ , მათემატიკა - IX კლასი, კომპლექსური დავალება“ მაქსიმალური მოცულობის ყუთის დამზადება“. მოსწავლეები ისწავლიან ალგებრული წილადებს და მასზე მოქმედებებს. გაიწაფებიან კვადრატული სამწევრის სრული კვადრატის გამოყოფაზე, მიღებული ცოდნისა და ნასწავლი ფორმულების გამოყენებით გადაჭრიან სიტუაციურ პრობლემას, შეძლებენ უპასუხონ შეკითხვას: როგორ არის შესაძლებელი მართკუთხედის ფორმის მქონდე ფირფიტისაგან მაქსიმალური ტევადობის ყუთის დამზადება? აღნიშნული მსჯელობა დაადასტურეს მასწავლებლებმა ინტერვიუზე საწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობებსა და სასწავლო მეთოდებზე მსჯელობისას. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი სასწავლო

პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა ნათელ სურათს, თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. ასევე აღსანიშნავია ინტერვიუზე მასწავლებლის მიერ გაზიარებული პრაქტიკა, თუ როგორ ხდება ცოდნის და უნარების თავმოყრა. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრა აქტიურად გეგმავს და ახორციელებს არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვანს აქტივობებს (მაგ. კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი კლუბი. მოსწავლეთა ნამუშევრები, სააღდგომო, საშემოდგომო გამოფენა, მუსიკალური ღონისძიება „შემოდგომის ფერები“) წარმოდგემილი დოკუმეტაციიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში კათედრა ზრუნავს მოსწავლეებში სხვადასხვა საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეთა მეხსიერებაში ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ დაწყებითი კლასების კურიკულუმები (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია)
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ✓ სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-2024-წ-N100-საჯარო-სკოლა-ახალი
- ✓ დანართი N64 სასკოლო პროექტი
- ✓ დანართი N71 კათედრის მუშაობის ანგარიში
- ✓ განხორციელებული პროექტების ფოტო მასალა

- ✓ მუსიკასა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში აუდიო/ფოტო მასალა
- ✓ სოციალური გვერდიhttps://www.facebook.com/profile.php?id=100057669811151
- ✓ ინტერვიუ

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითეფასების ფორმიდან, მასწავლებლებთან გასაუბრების და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია არა მარტო ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მაგ. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამაზე მეტყველებს სხვადასხვა კომპლექსური დავალებები და აქტივობები არაფორმალური ხაზით. სოციო-ემოციური სწავლის პროცესი ორიენტირებულია ისეთ კომპეტენციებზე, როგორიცაა თვითცნობიერება, ღირებულებები, თვითრეგულაცია, ემპათია, მასწავლებლებმა მაგალითისათვის მოიხმეს ბუნების თემაზე განხორციელებული კომპლექსური დავალებები. (ვაჟას,,ია". ,,ხმელი წიფელი") ეს ნაწარმოებები, ცხადია, ღირებულებებსა და ემპათიის განცდას უვითარებს მოსწავლეს,აძლევს საშუალებას

დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, აიღოს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. დავალების კომპლექსური კონტექსტი მოსწავლეს უყალიბებს პირობისეულ ცოდნას და აძლევს ამ ცოდნის განზოგადების საშუალებას. ის სწავლობს ქართულში მიღებული ცოდნა სად და როგორ გამოიყენოს. მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე/წინარე ცოდნაზე დაყრდნობით უნდა შეძლოს გააზრებული სწავლა, რომ მიღებული ცოდნა იყოს ფუნქციური და ხელი შეუწყოს მის პიროვნულ განვითარებას. საბაზო საფეხურის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. შესაბამისად, სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხზე დაყრდნობით, რადგანაც სამიზნე ცნებებს, სასწავლო საკითხებს, დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებსა და განხორციელებისთვის აუცილებელ რესურსებს შორის კავშირი არის დანახული. მით უფრო, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და პროცესის სწორი ხედვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. წარმოდგენილი შეფასების ზოგადი/კონკრეტული რუბრიკებიდან (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) ჩანს, რომ კათედრა სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას და მოსწავლეებს აფასებს მრავალმხრივად. სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში დეტალურადაა წარმოდგემილი ამ მოდელის ფარგლებში მოსწავლის შეფასების ხედვა და ამოცანები. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (ტესტები, კომპლექსურები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების ერთიანი რუბრიკები. მოცემული რუბრიკები მოიცავს შემაჯამებელ დავალებებს. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. ინფორმაცია მიწოდებულია ოფიციალურად ყველა მხარის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. პროცესზე

პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი. ეფუძნება შეფასების შემდეგ პრინციპებს ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალეობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. სკოლას აქვს მზაობა რომ მომავალში დახვეწოს და მოქნილი გახდოს ეს მექანიზმი. მომავალში, მათთვის ეს მნიშველოვანი გამოწვევაა. სკოლის დირექტორი, კათედრები და სასკოლო საზოგადოება სათანადოდაა ჩართული შეფასების სისტემის შექმნასა და მის მონიტორინგში. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკეთა, სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი, გაკვეთლებზე ურთიერთდასწრება,გეგმავენ დიაგნოსტიკური ტესტირების ჩატარებასაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, 2013 წლის 22 აგვისტოს 113/ნ ბრძანების შესაბამისად: "მოსწავლის პირადი საქმე სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში". შესაბამისად, პირად საქმეში შეტანილი წლიური შეფასებები, ცნობები, ექსტერნზე ინფორმაცია და ასე შემდეგ პირადი საქმის შენახვის ვადით ინახება. სკოლა ინახავს მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს როგორც წესი ერთი წლის ვადით. ეს მონაცემებია: მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევრები მატერიალური სახით; ელექტრონული სახით არის შენახული დამრიგებლების ანგარიშები მოსწავლეთა შეფასებისა და გაცდენების შესახებ, მასწავლებელთა რეფლექსიები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ დანართი N11. ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი
- ✓ დანარტი N24. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- ✓ N100-სკოლა.-ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა
- ✓ N100-სტრატეგიული-განვითარების-გეგმა
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ✓ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.
- ✓ სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-2024-წ
- ✓ მუსიკასა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში აუდიო/ფოტო მასალა
- ✓ ინტერვიუ

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმეტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე მხარდამჭერით და მიმღებლობით გარემოს უზრუნვალსაყოფად შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. მოსწავლე მასწავლებლისგან მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას. ყველა მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ ეშინია შეცდომების დაშვების, როცა რაიმეს ვერ გაიგებს, მასწავლებელი სხვაგვარად უხსნის, გაკვეთილები ხალისიანი აქტივობებით არის დატვირთული, გაკვეთილზე გამოყენებულია ტექნოლოგიები, მოსწავლეს ყოვეთვის აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მასწავლებელი მუდმივად აძლევს პოზტიურ უკუკავშირს. მზრუნველია და ყოველთვის მზად არის მოსწავლის დასახმარებლად. ბავშვები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, პატივს სცემენ ერთმანეთის. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და კულტურული თავისებურებანი.სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო სრულფასოვანი განვითარებისათვის; **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.საბაზო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად, ამსთან, სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში მაგ. დანართი N64 სასკოლო პროექტი ნათლად, ჩანს მოსწავლეთა/მშობელთა აქტიური ჩაულობა სასკოლო პრექტის ფარგლებში აქტივოებების დაგეგმვისას. უცხო ენის კათედრის ოქმიდან ვგებულობთ რომ ყოველი სემესტრის ბოლოს მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლეთა მიღწევებს, ზრუნავენ მათ ჩართვაზე სხვადასხვა კონფეენციებსა თუ ოლიმიადებში, ერთად მსჯელობენ პრობლემაზე და მათი გამოსწორების გზებზე. ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა ერთიანობა მოსწავლეთა პროგრესის მუდმივად კონტროლის მიმართ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის ძირითადი პრიორიტეტებია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა. რაც დასტურდება კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში პედაგოგთა თანამშრომლობითა და მხარდაჭერით. კათედრის ფარგლებში, მასწავლებელთა სტანდარტული შეხვედრები და მასზე განხილული საკითხები ფორმდება კათედრის ოქმებით. სკოლაში

საგნობრივი კათედრების მუშაობა მიმდინარეობს თანამშრომლობისა და გუნდურობის პრინციპების დაცვით. ხდება გამოცდილების გაზიარების მიზნით გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, აქტიურად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი. წახალისებულია თანამშრომლობა და თანასწავლება აღნიშნული სიტუაცია გამოხატვის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს/მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა გადაიჭრება თანამშრომლობითი გზით. სასკოლო პროექტების წარმატებული განხორციელება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მიიღწევა. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის უფლება, რა ფორმით ჩაერთვებიან სასკოლო თუ სასწავლო პროექტებში, აქტივობებსა და საწრეო მუშაობაში. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი, მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს მშობელტა აქტიურ ჩართულობას (მშობლეთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები). ამასთან, მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):სასკოლო სასწავლო გეგმა

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ✓ დანართი N59. ადაპტაციის მექანიზმი
- ✓ დანართი N71 კათედრის მუშაობის ანგარიში
- ✓ დანართი N60 კათედრის-ოქმი-პირველი-სემესტრის-შეჯამება-2022
- ✓ დანართი N27 მშობელთა კრების ოქმი
- ✓ სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-2024
- ✓ ინტერვიუ

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ჩარჩო/გეგმა, სადაც სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმი შედგენილია სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, საგნობრივი კათედრები, დირექცია). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს წარმოდგენილი მკაფიო ხედვა, სადაც მონიტორინგს და შეფასებას განიხილავს სასწავლო პროცესის თანმდევ მექანიზმად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლაში არსებული თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეფექტიან განხორციელებას. სასკოლო საზოგადოება იზიარებს, რომ მონიტორინგი და შეფასება არის აუცილებლობა და საუკეთესო საშუალება პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, შესაბამისად, სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და გაძლიერებისაკენ. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობით აქტიური მუშაობა მომდინარეობს, კერძოდ, საგნობრივ კათედრის წევრები ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ გაკვეთილს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, გეგმავენ ერთობლივ აქტივობებს. იგეგმება როგორც მოსწავლეთა ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და მშობელთა მეტ ჩართულობას უკუკავშირის გასათვალისწინებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვისა და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება. მონიტორინგი ხორციელდება შემდეგნაირად: პარალელურ კლასებთან მომუშავე კათედრების მასწავლებლები თანხმდებიან დათქმულ დროს პარალელურ რეჟიმში განახორციელონ ერთსა და იგივე კომპლექსურ დავალებას და აკეთებენ ანალიზს. პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, თუმცა საჭიროებს დახვეწას და განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ დანართი N10 შიდა მონიტორინგი
- ✓ დანართი N24. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ✓ დანართი N11. ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი
- ✓ ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა
- ✓ სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-2024
- ✓ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.
- ✓ ინტერვიუ

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე. მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასებისას სკოლა აგრეთვე ეყრდნობა კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგებს, მოსწავლეთა მიღწევებს, დაკვირვებას სასწავლო პროცესზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში საუბარია სამომავლო ხედვაზე, რომლის თანახმად, სკოლაში სისტემატურად შეგროვდება მონიტორინგის შედეგების მონაცემები, მოხდება მათი ანალიზი და შეფასება, რის შედეგადაც, მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვა და ცვლილებების შეტანა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, იძლევა წარმოდგენას, რომ კათედრას აქვს გამოცდილება, კურიკულუმის შეფასებისას გამოიყენოს მასწავლებლის თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა გამოკითხვა. ასევე, კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას, არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის შეფასება ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს: მასწავლებლების დაკვირვება, კოლეგების დაკვირვება, დამრიგებლების, მშობლების, თანაკლასელებისგან. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასების პროცესში გარკვეულწილად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების კვლევა, გასაუბრება და სხვა. რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს შექმნას შეფასების ეფექტური მექანიზმი, რომელიც მოიაზრებს სრულიად სასკოლო საზოგადოების ჩართვას და მათი ინტერესების გათვალისწინებას მონაცემთა შეგროვების პროცესში. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ შეფასებისთვის მომავალში გამოიყენონ მოსწავლის პორტფოლიო, რომელიც კარგად ასახავს როგორც აკადემიურ მოსწრებას, ასევე მოსწავლის ფსიქო- ემოციურ განვითარებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლის მიერ არჩეული შეფასების პირველი მოდელი. საგაკვეთილო პროცესში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია და სხვა. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. წარმოდგენილი მასალებიდან ,მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლისთვის შედგენილია შეფასების გამარტივებული ვარიანტი, რაც გულისხმობს, რომ სამიზნე ცნებები იგივე რჩება, მაგრამ მარტივდება, მცირდება მკვიდრი წარმოდგენები საკითხები და ქვეცნებები, ასევე პროდუქტის წარდგენის სახე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ დანართი N10 შიდა მონიტორინგი
- ✓ დანართი N24. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ✓ დანართი N11. ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი
- ✓ ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა
- ✓ სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-2024
- ✓ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.
- ✓ დანართი N71 კათედრის მუშაობის ანგარიში
- ✓ დანართი N60 კათედრის-ოქმი-პირველი-სემესტრის-შეჯამება-2022
- ✓ ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ, კერძოდ; მათი მიგნებები, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. მასწავლებლების მიერ მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზი. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმება სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერისთვის საჭირო რეკომენდაციები, რაც გაუმჯობესებს შეფასების და გადახედვის პროცესებს.

მოცემულ ეტაპზე საბაზო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის კათედრას არ აქვთ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა ,მიმდინარეობს დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, თუცა კურიკულუმის მეთოდოლოგიაში წარმოდგელია , რომ მონიტორინგისა და შეფასების

შედეგად სკოლა შექმნის რეკომედაციების პაკეთს სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ კურიკულუმის მეთოდოლოგიაში სკოლას აქვს წარმოდგენილი ხედვა თუ როგორ განახორციელებს კურიკულუმის რევიზიას და შექმნის გადამუშავებულ ვრსიას. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ დანართი N24. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად: საშუალო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და მიმართულია თანამშრომლობის გზით მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, შემოქმედებითი უნარების განვითარებისაკენ. სასკოლო გეგმა ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მიმდინარეობდა სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ დირექტორი, მოადგილეები, საგნობრივი კათედრების მასწავლებლები. მუშაობის პროცესში გათვალისწინებული იქნა მოსწავლეებისა და მათი მშობლების სურვილები. სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია გასული წლის შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემები. კათედრის მიერ წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში ნათლად აისახა აღნიშნული მეთოდოლიგია, ასევე მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ მომავალში მჭიდრო ურთიერთკავშირი ექნებათ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლთან. გამოკითხვით, ინტერვიუს და ყოველდღიური კომუნიკაციის საშუალებით გამოიკვლევენ მოსწავლეთა, მშობელთა და თემის ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში კი განსაკუთრებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა

შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს. საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ძლიერ მხარედ მიგვაჩნია ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება და მათი ნაყოფიერი ჩართულობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სტატუსის მასიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ სკოლის მიერ თანამშრომლობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა კურიკულუმი არის კონკრეტულად ამ სკოლის მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებული დოკუმენტი, რომელიც ფორმალური და არაფორმალური კომპონენტების გამოყენებით თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს ეროვნული კურიკულუმის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ გამოცდილებას. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები გეგმავენ კურიკულუმის შეუშვების პროცესში უფრო მეტად ჩართოს მოსწავლეები და მშობლები მათი კომპეტენციებისა და ინტერესების შესაბამისად. სასკოლო საზოგადოების აქტიურად ჩართვის ერთ-ერთი გზა არაფორმალური განათლებაა. საგან მოქალაქეობაში პროექტული სწავლების ფარგლებში პედაგომა განახორციელა პროექტები "კულტურული მემკვიდრეობა", " "კომიქსების გამოფენა". ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ინტერესიდან გამომდინარე ხალისით იყვნენ ჩართულები სამივე საფეხურის მოსწავლეები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები სასწავლო წლის დასაწყისშივე გაცნობილია მშობელთა კრებეზე, დოკუმენტურად უკუკავშირი აისახება მშობელთა კრების ოქმებში სადაც ვიკითხება, რომ დამრიგებლებმა გააცნეს მშობლებს სკოლის შინაგანაწესი და ხაზი გაუსვეს მათი აქტიური ჩართულობის მნიშვნელოვნებას სასკოლო ცხოვრებაში. გარდა ამისა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ის კონკრეტული გზები (სოც. მედია, სკოლის ვებ-გვერდი, მეილი და ა.შ.) რისი მეშვეობითაც სკოლა მოახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებას. გარდა ამისა, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იცნობენ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღწერილ მეთოდებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.
- ✓ ფესტივალის, სასკოლო პროექტებში ანუ შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალა
- ✓ სოციალური გვერდიhttps://www.facebook.com/profile.php?id=100057669811151
- ✓ ანართი N64. სასკოლო პროექტები
- ✓ სსიპ ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ ინტერვიუ

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. შუალედურ მიზნებად განისაზღვრება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას და საგნობრივი საკითხის ღრმად გააზრებას. მაგ. საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ყველა სავალდებულო თემა, სადაც საკითხები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. მოცემული საგნების კურიკულუმში წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება კომპლექსური დავალების იდეებით, კონტექსტ-მაგალითებით, რესურსებით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმშიი გაწერილი როგორც კომპლექსური დავალებები, ასევე საკითხები/საკითხთა კლასტერები, რომელთა შესწავლის დროს ორიენტირება ხდება გრძელვადინი მიზნებისკენ და ქვეცნებებისკენ. მუშაობის პროცესში კიდევ უფრო გაითვალისწინებენ მოსწავლლეთა საჭიროებებს და ინტერესებს და გაამდიდრებენ საინტერესო კონტექსტ - მაგალითებით და რესურსებით, რათა სასწავლო პროცესი უფრო სახალისო და საინტერესო გახადოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ძირითადად ჩანს,თუ რა საგნობრივ საკითხებს, კომპლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მაგ. მასწავლებლის მიერ აღწერილ დავალებაზე მუშაობის პროცესი.დავალება გახლდათ გამოხმაურების დაწერა გიორგი მეფის მონოლოგზე. დავალების შესრულებამ ხელი შეუწყო არა მხოლოდ სიღრმისეულ სწავლებას ,არამედ გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, მოსწავლეებმა კრიტიკულად შეაფასეს გიორგი პირველის ეპოქა, ბიზანტიასთან ურთიერთობა, რამაც კიდევ ერთი ახალი აქტივობის-დისკუსიის შემოტანა განაპირობა აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. საშუალო საფეხურზე თითოეულ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა, რაც გამოკვეთილია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ , სკოლას აქვს საჭიროებების კვლევის გამოცდილება და სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. სკოლა ცდილობს დიფერენცირებული სწავლა-სწავლების უზრუნველყოფისათვის დანერგოს მოქნილი სასწავლო გარემო, იყოს ორიენტირებული მოსწავლის პროგრესზე, ხელი შეუწყოს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა ცოდნის კონსტრუირებას, შექმნას ისეთი დავალებები, რომლებსაც ექნება კომპლექსური ბუნება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სკოლის თითოეული მოსწავლის, მათ შორის სსსმ მოსწავლეების, მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტის სახით. წარმოდგენილი პროექტებიდან ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. სკოლას მტკიცებულებების სახლით წარმოდგენილი აქვს აქვს 2023-24 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც მთელი წლის განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩარჩულია საასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა. სკოლაში გამოიყენება შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც. მათი გამოყენება ავტომატურად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლაში დანერგილია სამკომპონენტიანი შეფასების სისტემა, რომელიც თავის თავში მოიცავს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებასაც. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ზოგადი/კონკრეტულ დავალებაზე მორგებული ანალიტიკური შეფასების რუბრიკები. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: მაგ. სასწავლო გაჩერებები, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, სასწავლო მენიუ, ურთიერთშეფასება და თვითშეფასება. რის საფუძველზეც მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესის შესახებ. კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას და დასკვნით ეტაპებზე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება მოხდება როგორც მასწავლებლის მხრიდან, ასევე მოსწავლეთა თვით და ურთიერთშეფასების გზით.ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტი ფასდება განმავითარებელი შეფასებით. კათედრას არ აქვს გადმოგზავნილი საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები, თუმცა არსებულ კურიკულუმში არის შენიშვნა: სკოლაში ვიზიტისას

მასწავლებლებმა ისაუბრეს სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის. მასწავლებლებმა ისაუბრეს კონკრეტულ მაგალითებზე, სადაც თავად მოსწავლეც აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ნამუშევრებს/ცოდნას. ამ მსჯელობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა მისცა რჩევა: სამომავლოდ შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები მოწმობს, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. მათემატიკის კათედრის წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. განსაკუთრებულად ღირებულია მასწავლებლის პორტფოლიოს ანალიზი, მათი თვითრეფლექსიები. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, წინარე გამოცდილების გათვალისწინებით სასკოლო სასწავლო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება, დახვეწა და განვითარება.

რაც შეეხება სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკის საგანს , საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტებით სწავლება პირველად დაინერგა 2022-23 სასწავლო წელს. სკოლას აქვს პროექტებით სწავლების გამოცდილება და მასწავლებლებმა ინტერვიუზე განაცხადეს 2023-2024 საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების დაგეგმვისას გაითვალისწინეს აღნიშნული გამოცდილება. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ რომ, საშუალო საფეხურზე დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია კათედრის ოქმი, სადაც ჩანს რომ სკოლის პრიორიტეტია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა და მათ სასწავლო შედეგებზე დაკვირვება, რაც საშუალებას იძლება წინარე გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის დაგეგმვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ საგნობრივი კურიკულუმი (ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია)
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ✓ ბრძანება შიდა მონიტორინგის ჯუფის შექმნის შესახებ
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი
- ✓ საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ✓ ინდივიდუალური გეგმები
- ✓ დანართი N71 კათედრის მუშაობის ანგარიში
- ✓ ინტერვიუ

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართვა. კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს სჭირდება თავისუფალი აზროვნება, პრობლემის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა და შეფასება, ახალი იდეების გენერირება, შესაბამისად ამ დროს მოსწავლე აქტიური და შემოქმედებით პროცესში ჩართულია. სკოლას აქვს გამოცდილება არაფორმალური განათლების მხრივაც მოსწავლეების შემოქმედებით პროცესში ჩართულობის. მაგ. სპორტის კათედრა საშუალო საფეხურის X-XII კლასის კურიკულუმები და მასში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები.
მაგ. ქართული ენის კათედრა მე-10 კლასისათვის შეთავაზებული დავალება-არგუმენტირებული ესეს დაწერა რუსთველის ,,ვეფხისტყაოსნის" შერჩეულ აფორიზმზე დაყრდნობით. ასეთი ბუნების დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს საკითხები შეისწავლონ ყოველმხრივ და სრულფასოვნად. დავალების შესრულება ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან წარმოსახვის უნარის განვითარებას, მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს და ეხმარება დამოუკიდებელ აზროვნებასა და პიროვნულ განვითარებაში.
მაგალითად, ესთეტიკური კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმში პროექტის ფარგლებში იკვეთება, რომ მასწავლებელს სასწავლო მიზნებთან მიმართებით გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ასევე კათედრას წარმოდგენილი აქვს 2022-23 სასწავლო წელს განხორციელებული პროექტის შემოქმედებებითი პროდუქტები, რის საფუძველზეც შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივოებები უზრუნველყოფს მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს კონსტრუქტივისტული პრინციპებზე დაყრდნობით, კერძოდ, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა -სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალი კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი არის კომპლექსური დავალებები, სამიზნე ცნებებით და ქვეცნებებით და ჩანს სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების და ქვეცნებების კორელაცია, რაც კარგად გამოხატავს ცოდნის კონსტრუირებას კომპლექსური დავალებაში, კათედრა მიზნად ისახავს კონტექსტ-მაგალითებზე და რესურსებზე მუშაობას. ფიქრობენ რომ სწორად შერჩეული კონტექსტ-მაგალითები და რესურსები ხელს შეუწყობს ცოდნის კონსტრუირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიციის უნარების განვითარებას. საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს, აპოვნინებს პასუხებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსია რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. კათედრის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლე ცოდნას აგებს მრავალფეროვანი თემების, საკითხებისა და კონტექსტების მეშვეობით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში და განუვითაროს აზროვნების, შემოქმედობითო?ის, ანალიზისა და შეფასების უანრები. სურათების სახით წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკვეთება მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც მოიცავს როგორც დეკლარატიული, ასევე პირობისეული და პროცედურული ცოდნას, აღნიშნული მსჯელობა დაადასტურეს მასწავლებლებმა ინტერვიუზეც.
მოსწავლეებს პრობლემაზე მუშაობის დროს შეუძლიათ მიღებული ცოდნის (ნასწავლის) დაკავშირება და გამოყენება მთლიანი პრობლემის გადასაჭრელად, ასევე მსჯელობით დასაბუთება. (მაგალითი. X კლასი, კომპლექსური დავალება “ ხის სიმაღლის

გაზომვა“ მოსწავლეები შეისწავლიან მრავალკუთხედების მსგავსებას და ამ ცოდნით შეძლებენ სიტუაციური პრობლემების გადაჭრას: გაზომავენ მათთვის სასურველ მაღალი ობიექტის სიმაღლეს). სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი-ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლს ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. მაგ.ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის პროექტული სწავლების დოკუმეტაციაში (ხელოვნების პროექტის თემა-ჩემი ქალაქის, რეგიონის, სოფლის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა/კვლევა და პოპულარიზაცია; დღეს არსებული სახელოვნებო პროფესიები: შემოქმედება და წარმატებული კარიერა) მოსწავლეებს სამიზნე ცნებების გააზრება მოუწევთ მრავალფეროვანი კონტექტებზე დაყრდნობითა და საგანთაშორის კავშირებით. კათედრა ქტიურად გეგმავს და ახორციელებს არაფორმალური განათების კუთხით მრავალფეროვანს აქტივობებს (მაგ. გაკვეთილები მუზეუმებში/თეტარში და სხვ.), ხელოვნების პროექტული სწავლების კურიკულუმში წარმოდგენილი საგანთა ინტეგრაცია და ცოდნათა დაკავშირება. ეს მსჯელობა მასწავლებლებმა უფრო გაამყარეს ინტერვიუს პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

- ✓ ბრძანება შიდა მონიტორინგის ჯუფის შექმნის შესახებ
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ✓ ინდივიდუალური გეგმები
- ✓ დანართი N71 კათედრის მუშაობის ანგარიში
- ✓ დანართი N64 სასკოლო პროექტი
- ✓ მუსიკასა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში აუდიო/ფოტო მასალა
- ✓ სოციალური გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100057669811151
- ✓ ინტერვიუ

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი სწორედ მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღრმისეული სწავლის მიდგომებით ხორციელდება. კერძოდ, სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა-სწავლების პროცესი მიემართება; სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო

შეკითხვები. წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხზე დაყრდნობით, მით უფრო, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და პროცესის სწორი ხედვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითეფასების ფორმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია არა მარტო ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ჯანსაღი ფიზიკური და გონებრივი, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს მდგომარეობა. მოსწავლემ უნდა შეძლოს და ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია სხვების მიმართ; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. როგორც, პედაგოგებმა აღნიშნეს, მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას ხელს უწყობს სასკოლო პროექტები და არაფორმალური განათლება. ამ მიმართულებით კათედრამ მონაწილეობა მიიღო პროექტებში, გამოფენებში და კვირეულებში. დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გვთავაზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ეს ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. მოსწავლეთა შეფასების ეს მეთოდი ორიენტირებულია მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაზე, ემსახურება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია: „ჰოლისტური, მზრუნველი, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ჩვენი სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მოსწავლეთა შეფასება რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზზეა დამყარებული. ამ მიმართულებით ხდება ისეთი რეკომენდაციების გაცემა, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება: მარტივი კავშირების დამყარებასა და ინფორმაციის სრულფასოვნად აღქმაში, არსის მთლიანობის გააზრებაში, საგნის ადკვატურ გაგებასა და გააზრებაში, განზოგადების უნარის ჩამოყალიბებაში, ჰიპოთეზების ჩამოყალიბებასა და მის შექმნაში. ამ პროცესების განხორციელებისას მოსწავლე გადის ცოდნის სამივე კატეგორიას (დეკლარატიული, ფუნქციურსა და

პირობისეულს). ესთეტიკური კათედრაზე საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტებით სწავლებისას მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით. სასწავლო პროექტი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებებს, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. საშუალო საფეხურზე შეფასება ხდება მასწავლებლის წიგნში არსებული პროექტის შეფასების რუბრიკების მიხედვით, სადაც ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფასდებიან მრავალმხრივად. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლების სასწაცლო პროცესზე დაკვირვებითა და მათი საჭიროებების გამოკვეთით ხდება განმავითარებელი უკუკავშირის გამოყენება, ასევე მიმდინარეობს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩარულობის მონიტორინგი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს რომ შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდატრის გათვალისწინებით. მოსწავლეები ფასდებიან კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებით და მათთვის ნაცნობია შეფასების კრიტერიუმები. მომდევნო სასწავლო წელს სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში განაცხადეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი ურთერთშეფასებასა და თვიშეფასებაში. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმეტი, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, პროცესი, პასუხისმგებელ პირი/პირები. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა წარმართოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში წერია, რომ სკოლას აქვს მოსწავლეთა შეფასების არქივი, პირადი საქმეების სახით. სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოების და მათ შენახვასთან დაკავშირებულ ყველა რაგულაციას. სკოლის მიერ დადგენილია შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოებისა და პროექტების

შენახვის წესს და ფორმას, რომელიც არის როგორც ელექტრონული, ასვე მატერიალური. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ დანართი N11. ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი
- ✓ დანარტი N24. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- ✓ საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- ✓ სტრატეგიული-განვითარების-გეგმა-2023-2030
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი
- ✓ სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-2024-წ-N100-საჯარო-სკოლა-ახალი
- ✓ მუსიკასა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში აუდიო/ფოტო მასალა
- ✓ ინტერვიუ

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგების გათვალისწინებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრების პრიორიტეტია

თანამშრომლობითი ურთიერთობები, გუნდური მიდგომა ყველა გამოწვევისადმი. მშობელთა აქტიური ჩართულობით წყდება სასკოლო პროექტებთან, ექსკურსიებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. დამატებითი საგნების არჩევის შემთხვევაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა სურვილები. სამომავლოდ დაგეგმილი კურიკულუმით სკოლა გაითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდაჭერას, ზრუნვასა და მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლებისაკენ სვლას. მოსწავლეთა მხარდაჭერას ემსახურება შეფასება, რომელიც განვითარებაზეა ორიენტირებული, მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრებების და კურიკულუმებზე ერთობლივად მუშაობის საფუძველზე ხორციელდება მასწავლებელთა შორის წარმატებული გამოცდილების გაზიარება ან განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების გაცემა. მოსწავლეთა მხარდაჭერა უზრუნველყოფილია მათზე მორგებული კურიკულუმების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დანერგვით, პროექტების, საკლუბო თუ სხვა აქტივობების დაგეგმვით და განხორციელებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.საშუალო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად, ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში მაგ. დანართი N64 სასკოლო პროექტი ნათლად, ჩანს მოსწავლეთა/მშობელთა აქტიური ჩაულობა სასკოლო პრექტის ფარგლებში აქტივოებების დაგეგმვისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს,რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ხშირად ხდება მათი პოზიციის გათვალისწინება. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. საშუალო საფეხურზე არსებობს პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატი, რომელიც გამოხატვის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს/მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა გადაიჭრება თანამშრომლობითი გზით. სასკოლო პროექტების წარმატებული განხორციელება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მიიღწევა. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის უფლება, რა ფორმით ჩაერთვებიან სასკოლო თუ სასწავლო პროექტებში, აქტივობებსა და საწრეო მუშაობაში. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი, მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით სკოლა უზრუნველეყოფს მშობელთა აქტიურ ჩართულობას (მშობლეთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები). ამასთან, მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- ✓ დანართი N71 კათედრის მუშაობის ანგარიში
- ✓ დანართი N60 კათედრის-ოქმი-პირველი-სემესტრის-შეჯამება-2022
- ✓ დანართი N27 მშობელთა კრების ოქმები
- ✓ დანართი N59. ადაპტაციის მექანიზმი
- ✓ სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-2024-წ-N100-საჯარო-სკოლა-ახალი
- ✓ ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ჩარჩო/გეგმა, სადაც სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმი შედგენილია სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, საგნობრივი კათედრები, დირექცია). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს წარმოდგენილი მკაფიო ხედვა, სადაც მონიტორინგს და შეფასებას განიხილავს სასწავლო პროცესის თანმდევ მექანიზმად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების სრულყოფის მიზნით ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და

აკვირდება კურუკულუმის განხორციელების პროცესს, რომლის შემდეგად აწვდის კონსტრუქციულ უკუკავშირს. ასევე საშუალო საფეხურზე საგანში ყოველი სემესტრისა და წლის ბოლოს თითოეული მასწავლებლის მიერ დაწერილი ანგარიში, მასწავლებლის თვითშეფასება, კათედრის თავმჯდომარის ანგარიშები, გამოკითხვები ემსახურება მოსწავლეების, მასწავლებლებისა თუ მშობლების მხარდაჭერასა და დახმარებას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ჩანს თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში? (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი? დოკუმენტის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. კონკრეტულად გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, თუმცა საჭიროებს დახვეწას და განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

- ✓ დანართი N24. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ✓ დანართი N11. ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი
- ✓ სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-2024-წ-N100-საჯარო-სკოლა-ახალი
- ✓ დანართი N10 შიდა მონიტ
- ✓ N100-სკოლა.-ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა
- ✓ ინტერვიუ

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 . სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაიდან დასტურდება, რომ სკოლა შეფასებისას ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს მაგ. სადამრიგებლო პროგრამებში, პედაგოგიურ საბჭოს/კათედრის /მშობელთა ოქმებში განხილული მოსწავლეთა მიღწევები და გამოკვეთილი პრობლემები/დაგეგმილი ინტერვენციები. კურიკუმის განვითრარების მეთოდოლოგიის დიკუმენტში იკვეთება სკოლის ხედვა და სამომავლო მზაობა მოსწავლეთა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეფასების შესახებ (მაგ. მშობელთა ჩართულობა, მოსწავლეებზე დაკვირვება და სხვ.) აღნიშნული მსჯელობას ადასტურებს მასსწავლებლებთან/სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, იძლევა წარმოდგენას, რომ კათედრას აქვს გამოცდილება, კურიკულუმის შეფასებისას გამოიყენოს მასწავლებლის თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა გამოკითხვა. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას, არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.თვითშეფასების განაცხადისა და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, სასწავლო პროცესის ანალიზისთვის მონაცემთა შეგროვება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით იგეგმება. მაგ. დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ და სხვა. მონაცემთა ანალიზით მოხდება მოსწავლეთა უნარების დიფერენცირება და სამომავლო ინტერვენციების განსაზღვრა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, საგაკვეთილო პროცესში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია და სხვა. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლისთვის შედგენილია შეფასების გამარტივებული ვარიანტი, რაც გულისხმობს, რომ სამიზნე ცნებები იგივე რჩება, მაგრამ მარტივდება, მცირდება მკვიდრი წარმოდგენები საკითხები და ქვეცნებები, ასევე პროდუქტის წარდგენის სახე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

- ✓ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ✓ დანართი N10 შიდა მონიტ
- ✓ ინტერვიუ მასწავლებლებთან
- ✓ N24 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ✓ N100-სკოლა.-ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმ
- ✓ დანართი N71 კათედრის მუშაობის ანგარიში
- ✓ დანართი N60 კათედრის-ოქმი-პირველი-სემესტრის-შეჯამება-2022
- ✓ სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-2024-წ-N100-საჯარო-სკოლა-ახალი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ, კერძოდ; მათი მიგნებები, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. მასწავლებლების მიერ მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზი. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმება სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერისთვის საჭირო რეკომენდაციები რაც გააუმჯობესებს შეფასების და გადახედვის პროცესებს. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა ის , რომ საშუალო საფეხურზე კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნა წინა სასწავლო წლის გამოცდილება, კერძოდ, გაანალიზებული იქნა თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის განმსაზღვრელი რესურსები, ინსტრუმენტები და შეფასების რუბრიკები. მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახა ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- დანართი N24. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10.11.2023